# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 23 თებერვალი, 2010 წელი.

№34 (6400)


> იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


**ბიძინა სავანელი:**

## პასუხი რუსეთის მსტოვარს „ანდრეის“,

**ანუ შიშველი მეფის ლევან ალექსიძის რეალური პორტრეტი** 3






**ამირან კიღურაძე:** ## პრეზიდენტის გზა ბათუმელებს აეროპორტამდე მიიყვანს? 4

**ოთარ შონია:**

**...დიახ, დიახ, მზე დასავლეთიდან ამოდის!..** 6

**ხელისუფლება ლოთი ქობალიას და მის მომხრეებს ემუქრება!** 4

## პრეზიდენტს კაცი გაუტანიაო... 2



**ირაკლი ღვალაძე: ვიდრე ჩვენს განძს სხვა დაპატრონებია...** 7

**რატომ არ დაუთმობს საეთერო დროს ლევან გახელაძე „რესპუბლიკელებსა“ და „ახლებს“?** 2



**მე-2 არხი პოლიტიკური გახდება**

ალექსანდრ ელისეევი

## 1937 წლის გამოცანის ამოხსნა 9




„საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?

## ◉ მემორანდუმი

**„II არხის“ პოლიტიკურ არხად გადაქცევის შესახებ შეთანხმებას გუშინ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ოფისში მოეწერა ხელი.**

ეს მემორანდუმი არ არის ის, რისთვისაც ვიბრძოდით, განაცხადა „ქალთა პარტიის“ ხელმძღვანელმა **გუგული მაღრაძემ** და პროტესტის დასტურად ხელი არ მოაწერა. დოკუმენტი ხანგრძლივი მუშაობისა და დებატების შემდეგ მიიღეს საზოგადოებრივი მაუწყებლის, პარლამენტის და პოლიტიკური პარტიების წევრებმა.

ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის ხელმძღვანელი **ლუის ნავარო** გაოცებული დარჩა, როცა ხელმოსაწერად მზა დოკუმენტზე მსჯელობა და კამათი დაიწყეს ქართველმა ოპოზიციონერებმა. მემორანდუმის ტექსტი ერთი დღით ადრე ყველას ხელთ გქონდათ, შეგეძლოთ გაცნობოდით, გინდათ მოაწერეთ ხელი, გინდათ – არა, დისკუსიის დრო ახლა არ გვაქვს, – აღნიშნა მან. ამის მიუხედავად რამდენიმე მუხლი მაინც ჩასწორდა.

# რატომ არ დაუთმობს საეთერო დროს ლევან გახელაძე „რესპუბლიკელებსა“ და „ახლებს“?

## ხვალიდან მე-2 არხი პოლიტიკური გახდება



დიდი ხანია შეთანხმდნენ, რომ II არხი, პირდაპირ ეთერში გააშუქებს პლენარულ სხდომებსა და მნიშვნელოვან საკომიტეტო განხილვებს, რასაც ეს არხი აქამდეც აკეთებდა, მაგრამ 24 თებერვლიდან შეიცვლება არხის ფორმატი და ყოველდღე, საღამოს 10-დან 11-საათამდე პირდაპირი ეთერი დაეთმობა ოპოზიციურ პარტიებს, ყოველგვარი სარედაქციო ჩარევის გარეშე.

პოლიტიკური პარტიები ერთმანეთში უნდა შეთანხმდნენ, რა თანმიმდევრობით გაიყოფენ ისინი საეთერო დროს და თავად განსაზღვრავენ რიგითობის წესს. ამ სიას ისინი NDI-ს ოფისს მიაწვდიან.

მემორანდუმის პირველმა ვარიანტმა ფორმირება განიცადა იმ ნაწილში, რომელიც დებატების თემას შეეხებოდა. მემორანდუმის თანახმად, დებატები მხოლოდ იმ კანონპროექტის შესახებ უნდა შემდგარიყო, რომელთა განხილვაც პარლამენტში მიმდინარეობდა, რასაც განსაკუთრებით ნოლაიდელის პარტიის წევრის უკმაყოფილება მოჰყვა. დისკუსიის შემდეგ ტექსტი ჩასწორდა და შეთანხმდნენ, რომ იმ დღეებში, როცა პარლამენტი ისვენებს და არ ხდება კანონპროექტებზე მუშაობა, ეთერი სხვა პოლიტიკურად მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობასაც დაეთმოს.

გუგული მაღრაძემ, ამასთანავე, საკუთარი ჟურნალისტი მოითხოვა, რომელიც ამ დებატებს გაუძღვებოდა, რასაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობა არ დათანხმდა.

მეორე არხით გაშუქდება ბრიფინგების, პრესკონფერენციების სრული ჩანაწერები, მაგრამ ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ხელს არ მოაწერენ მემორანდუმს, ვერ ისარგებლებენ ერთსაათიანი საეთერო დროითა და ამ არხის სრული მომსახურებით.

ასეთი მკაცრი ულტიმატუმის მიუხედავად, „ქალთა პარტიამ“ განზე დარჩენა ამჯობინა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნით: გუგული მაღრაძემ უმოკლეს დროში სატელიტზე გასვლის პრობლემის გადაჭრა მოითხოვა, ვინაიდან II არხი საქართველოს სრულად ვერ ფარავს.

მემორანდუმი ღია 1 აპრილამდე დარჩება, თუმცა გუშინვე მოაწერეს ხელი პარლამენტში მოლვაწე პარტიებმა, „კონსერვატორებმა“, „ხალხის პარტიამ“ პარტია „თავისუფლებამ“, „ტრადიციონალისტებმა“, „სამართლიანი საქართველოსთვის“, „დაიცავი საქართველოს“ და თავად საზოგადოებრივი მაუწყებლის თავმჯდომარის მოადგილემ ლევან გახელაძემ, დანარჩენებს მოსაფიქრებლად საკმარისი დრო რჩებათ. თუმცა გახელაძე ამშვიდებს იმათ, ვისაც მემორანდუმის პირობები არ აკმაყოფილებთ: **„მეორე არხი იქნება პოლიტიკური, მაგრამ საზოგადოებრივი მაუწყებელი ამავე დროს აქტიურად ჩაება ამ პროცესში, ჩვენს არხს კვირაში ექვსი დღე პოლიტიკური თოქ-შოუ ექნება, სადაც ყველა საარჩევნოდ დარეგისტრირებულ სუბიექტს შესაძლებლობა ექნება გამოიყენოს დრო დებატებისთვის და საარჩევნო პროგრამების პრეზენტაციების მოსაწყობად“**, – აღნიშნა მან.

ხელმოწერების დამთავრების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მემორანდუმზე თანხმობა განაცხადა ირაკლი ალასანიას პარტიამაც, მაგრამ არა ალიანსმა. ამაზე გახელაძემ არამედიისთვის, კულუარებში ირონიით განაცხადა, რომ საეთერო ერთსაათიან დროს არავითარ შემთხვევაში არ დაუთმობს „რესპუბლიკელებსა“ და „მემარჯვენეებს“.

დღის ბოლოს მაინცდამაინც კმაყოფილი არ ჩანდა ლუის ნავარო, რომელიც განაცვიფრა პოლიტიკური მოვლენებისადმი ქართველთა არაერთგვაროვმა დამოკიდებულებამ. რაც შეეხება ქართველ ოპოზიციონერებს, ყველა იზიარებდა ერთ აზრს: დემოკრატია ამით ვერ იზეიმებს, მაგრამ ეს არის პირველი ნაბიჯი – ოპოზიციისთვის ეთერის დათმობა ხელისუფლებისთვის კონტროლირებად არხზე.

**როგორი სახე ექნება მეორე არხს საბოლოოდ, უკვე ხვალიდან გახდება ცნობილი. ყოველ შემთხვევაში, ალბათ, ბევრი რამე მაინც არ იქნება სადაო, რადგან ამასთან დაკავშირებით დავით ბაქრაძის ინიციატივით ნოემბერ-დეკემბერში აქტიური შეხვედრები გაიმართა საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობასა და პოლიტიკურ პარტიებს შორის, და თუ რამე გასარკვევი და გასაზიარებელი იყო, აქამდე უნდა მოეხერხებინათ.**

**სხვათა შორის, გუგული მაღრაძის რეპლიკებით გაკვირვებული იყო ლევან გახელაძე: – ის დებატებში აქამდე არც მონაწილეობდა, ახლა კი ყველაზე მეტი პრეტენზია სწორედ მას აქვს, – თქვა მან.**

**თეა მოსია**

## ◉ ცა – ქუდად, დედამიწა – ქალამნად

# პრეზიდენტს კაცი გაუტანიაო...

**ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი რომ იმალება, საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი. განსაკუთრებით თუ რაიმე მაღალჩინოსნებს და მათი ოჯახის წევრებს ეხებათ. ტაბუდადებული თემაა პრეზიდენტი. თუ ღრეობის ან ვოიაჟის დროს რამე უხამსობა ჩაიდინა, რაიონის გამგებლები, პოლიციელები ადგილობრივ მცხოვრებთ აფრთხილებენ, მომხდარის შესახებ არსად ილაპარაკონ, თორემ... დაშინების ეს მეთოდი ჯერჯერობით ჭრის. ხალხს პირში წყალი აქვს ჩაგუბებული.**

როგორც ირკვევა, კახეთში მორიგი ვიზიტით მყოფი ესკორტი დიდი სიჩქარით მოძრაობდა, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში, ერთ-ერთი მანქანა, გზის სავალი ნაწილის წინ მდგომ 10 წლის ბიჭს დაეჯახა. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ბავშვი არხში გადავარდა.

ესკორტს სვლაც კი არ შეუნელებია. უგონო მდგომარეობაში მყოფი ბიჭი არხში მიატოვეს. მხოლოდ შემთხვევით გამვლელმა უშველა მოზარდს. იგი გურჯაანის რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მაგრამ მდგომარეობა დამძიმდა და საჭირო გახდა ტრავმირებულის თბილისში გადმოყვანა. ბავშვი გადარჩა.

კომუნისტების ეპოქაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლეონიდ ილიჩს სიბერეში ერთი ცუდი თვისება დასჩემდა: ნასვამ მდგომარეობაში მყოფი გადააკეტინებდა მოსკოვის ცენტრალურ ქუჩებს და მანქანით დაქროდა. ბედად, მოსკოვში განიერი ქუჩებია და თარეშს რაიმე ექსცესები არ მოჰყოლია.

ჩვენი დღევანდელი პირველი პირი შეზარხოშდება თუ არა, საჭისკენ მიიწევს. არაპროფესიონალი მძღოლი ხან ხეებს, ბოძებს ეჯახება, ხანაც ძროხებსა და სხვა რქოსან პირუტყვს.

მაგრამ... ცოტა ხნის წინათ ტრაგედია დატრიალდა: აჭარაში საკმაოზე მეტად შეზარხოშებულმა პრეზიდენტმა საჭე ველარ დაიმორჩილა და ქობულეთ-ბათუმის მონაკვეთზე 24 წლის მამაკაცს დაეჯახა. იგი ადგილზე გარდაიცვალა.

აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში „ოპერატიულად იმუშავეს ადგილობრივმა პოლიციელებმა. მათ შემთხვევის ადგილთან ახლო მცხოვრებნი გააფრთხილეს, რომ არავისთან არაფერი არ თქვან. გააჩუმეს დაზარალებულთა ოჯახის წევრებიც. რა თქმა უნდა, დაკრძალვის ხარჯები სახელმწიფომ გაიღო.

ასე ეწირება სააკაშვილის ღრეობებს ახალგაზრდების სიცოცხლე და ჯანმრთელობა. პრეზიდენტის ხუშტურების დასაკმაყოფილებლად ბიუჯეტში ჩვენს მიერ შეტანილი მილიონობით ლარი იხარჯება.

**ზაზა ბილიხოძე**

## ◉ გუშინ

# ჰოლბრუკისა და სააკაშვილის გადაწყვეტილება ტერორისტთა სამიზნედ ხომ არ გვაქცევს?

**ავღანეთსა და პაკისტანში ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალურ წარმომადგენელ რიჩარდ ჰოლბრუკთან საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივის განხილვა იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ამერიკელი დიპლომატის მხრიდან შესაბამისი სურვილი იარსებებს. ამის შესახებ ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ განაცხადა.**

მიხეილ სააკაშვილი აშშ-ს ავღანეთში სამხედრო ტვირთების ჩასატანად საქართველოს ტერიტორიას სთავაზობს. ქვეყნის პირველი პირი გამოვიდა ინიციატივით, აშშ-მა საქართველოს ტერიტორია და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ავღანეთში სამხედრო ტვირთების ჩასატანად სატრანზიტო პუნქტად გამოიყენოს

– თუ ქართული მხარის მიერ გაჟღერებულ ინიციატივასთან დაკავშირებით აშშ-ს წარმომადგენლის მხრიდან დაინტერესება იქნება, ეს საკითხი განიხილება. თუმცა, ვინაიდან მიხეილ სააკაშვილისა და რიჩარდ ჰოლბრუკის შეხვედრა ძალიან მეგობრული იქნება და ის უსაფრთხოების საკითხებს ეძღვნება, ვფიქრობ, ამ ინიციატივაზეც გაიმართება საუბარი, – განაცხადა კალანდაძემ.

რაც შეეხება უშუალოდ ჰოლბრუკის საქართველოში ვიზიტს, ნინო კალანდაძის შეფასებით, მისი ჩამოსვლა „მოწმობს რაოდენ წარმატებით მიმდინარეობს თანამშრომლობა აშშ-საქართველოს შორის“.

ავღანეთსა და პაკისტანში ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალური წარმომადგენელი თბილისში ოფიციალურ ვიზიტად გუშინ ჩამოვიდა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ◉ ბრიფინგი

# საზოგადოებრივი მაუწყებელი ეთნიკური უმცირესობისთვის ზრუნავს

**გუშინ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა გიორგი ჭანტურიამ ბრიფინგი გამართა, თემა კი საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ენებზე მაუწყებლის ახალი ფორმატით გადაცემა იყო.**

გიორგი ჭანტურიამ განაცხადა, რომ 2010 წლის 1 მარტიდან საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ეთნიკური უმცირესობების ენებზე ახალი ფორმატით იწყებს მაუწყებლობას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონი საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ საზოგადოებრივ მაუწყებელს ავალდებულებს, სათანადო პროპორციით განათავსოს ეთნიკური უმცირესობებისთვის მომზადებული სხვადასხვა პროგრამები.

2009 წლის ივლისში გუდაურში გაიმართა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის ფორმირებისადმი მიძღვნილი კონფერენცია. ამ კონფერენციაზე მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელებმა ეთნიკური უმცირესობებისთვის განკუთვნილი გადაცემების ფორმატის შეცვლა გადაწყვიტეს. კერძოდ, ნაციონალური „მოამბე“ გადიოდა თითოეული ეთნიკური უმცირესობისთვის კვირაში ერთხელ, ისიც მათთვის არახელსაყრელ დროს – შუადღეს, როცა ისინი ფიზიკურად ვერ ახერხებენ ტელევიზორის ყურებას, – განმარტა გიორგი ჭანტურიამ.

აქვე ისიც დასძინა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე ეთნიკური უმცირესობებისადმი მოწოდებული ინფორმაცია არასაკმარისი იყო.



**გიორგი ჭანტურია:** „მიღებული რეკომენდაციებისა და კვლევების საფუძველზე გადაწყდა, ეთნიკური უმცირესობებისთვის „ახალი ამბების“ ყოველდღიურ რეჟიმზე გადასვლა და მათი ტრანსლაცია როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონალური სამაუწყებლო არხების მეშვეობით. კერძოდ, მარნეულის ტელეკომპანია – აზერბაიჯანულ ენაზე, ახალქალაქის – სომხურ ენაზე, გორის – ოსურ ენაზე, ზუგდიდის – აფხაზურ ენაზე.

ასევე, დიდი მოთხოვნა ყოფილა შემეცნებით გადაცემებზე – საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებზე, მათ კულტურაზე, წესჩვეულებებზე, ეროვნულ დღესასწაულებზე, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებზე. მოსახლეობის სურვილია, თოქ შოქ „იტალიური ეზო“, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საქართველოს გაეროს ასოციაციის ერთობლივი პროექტია, გადაიცეს მათთვის სასურველ ენაზე“.

ბრიფინგს, ასევე, ესწრებოდნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები სხვადასხვა რეგიონიდან, რომლებმაც ახალი ფორმატი მოიწონეს. ახალი ფორმატის მიზანია ეთნიკური უმცირესობების ოპერატიული ინფორმირება მათთვის ხელსაყრელ და სასურველ საეთერო დროში.

**ხატია მუსერიძე**

# პასუხი რუსეთის მსტოვარს „ანდრეის“,

## ანუ

## შიშველი მეფის

# ლევან ალექსიძის

## რეალური პორტრეტი

**ამა წლის 15 თებერვალს გაზეთ „24 საათის“ ნომერში ჩემს შესახებ პროფ. ლევან ალექსიძის პასკვილი გამოქვეყნდა, რომელშიც კოლაბორაციონისტად ვარ „მხილებული“. ასე რამ “გააღიზიანა“ პასკვილის შემკვეთი, რომ ხელისუფალის მიერ ისტერიულად „აგორებულ“ სამშობლოს ყბადაღებულ ღალატში ბრალს ცნობილი მარიონეტი ალექსიძე მდებს? მიზანი აშკარაა: სხვა ერზე სულმიყიდულმა შინაურმა მტრებმა ქართველები ერთმანეთს უნდა გადაგვკიდონ!**

**საქმე ისაა, რომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ა.წ. 5 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში კორესპონდენტის შეკითხვაზე: „თუ დადასტურდა ჰეიდი ტალიავინის თავმჯდომარეობით მოქმედი ევროკავშირის მისიის მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში მოყვანილი ფაქტები, რა სასჯელი ელოდება აგრესიასა და ომის დანაშაულში ბრალდებულ პირებს?“, „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის სახელზე ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი ჩემი პასუხი ასეთი იყო: „თუ დადასტურდა ევროკავშირის წევრი-ქვეყნების მთავრობათა მიერ ოფიციალურად დელეგირებული ექსპერტების მიერ საქართველოში კონფლიქტის ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის მოხსენებაში მოყვანილი ფაქტები, მაშინ დამნაშავე პირებს, მათ შორის რუსული მხრიდან დამნაშავე პირს ან პირთა ჯგუფს, ემუქრება 30 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან უვადო პატიმრობა“. ხელისუფლების მოშიშ მლიქვნელთა ჯგუფმა თავისი ერთგულების დასამტკიცებლად ჩემი ინტერვიუ საბაბად გამოიყენა და პასკვილი შეთხზა, მაგრამ პასკვილი მათ ბუმერანგივით შემოუბრუნდათ.**

მე, ბიძინა სავანელი, 10 წელზე მეტია თავს ვიკავებდი, რათა წლების განმავლობაში ჩემსა და პროფ. ლევან ალექსიძეს შორის კონცეპტუალური დავა და პირადი ურთიერთობა გაზეთის ფურცლებზე არ გადანაცვლებულიყო, რადგან, მე, როგორც მეცნიერს და, მით უმეტეს, ქალბატონ თინათინ წერეთლის სამართლის სამეცნიერო სკოლის წარმომადგენელს, ეთიკის ნორმა ამის უფლებას არ მაძლევდა. მაგრამ ყველაფერს ხომ ბოლო უნდა ჰქონდეს?!

ჯერ კიდევ 1998 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სასწავლო პროგრამების რეფორმირების ჩატარების იდეას მხარი დავუჭირე, რადგან მათი დიდი უმრავლესობა საბჭოურ გადმონაშთს წარმოადგენდა. კომიკურად გამოიყურებოდა, მაგალითად, სასწავლო პროგრამა სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში, რომელშიც ჯერ კიდევ ფიგურირებდა მარქსისტულ-ლენინური კომუნისტური იდეები კლასთა ბრძოლის, პროლეტარიატის დიქტატურის და საერთო-სახალხო სახელმწიფოს შესახებ. **რეფორმების ჩატარების იდეას მკვეთრად დაუპირისპირდნენ ლევან ალექსიძე, ოთარ მელქაძე და სხვები,** რის გამოც მათ მე „წითელი პროფესორები“ ვუწოდე. ჩემს მიერ მათ მხილებას ის მოჰყვა, რომ უნივერსიტეტიდან ჩემი დათხოვნის საკითხი დააყენეს. კათედრამ და ფაკულტეტის საბჭომ დეკანის მეთაურობით, თუმცა არაერთხმად, მაგრამ ჩემს დათხოვნას მაინც მხარი დაუჭირა, რის გამოც უნივერსიტეტის დიდ საბჭოზე საკითხის განხილვა მოვითხოვე. მდგომარეობა დაიძაბა! ცხადი გახდა, რომ დიდი საბჭო ფაკულტეტის გადაწყვეტილებას მხარს არ დაუჭერდა. ფაკულტეტის ხელმძღვანელთან მჭიდროდ დაკავშირებულმა უნივერსიტეტის იმდროინდელმა რექტორმა როინ მეტრეველმა გამოსავალი გამონახა. რექტორის ბრძანებით გადამიყვანეს ჩემი სპეციალობისგან განსხვავებულ კათედრაზე.

პირველი, ვინც „წითელი პროფესორების“ ამ შეტევას გამოეხმაურა, გაზეთი „ასავალ-დასავალი“, კერძოდ ქალბატონი თეა ასათიანი გახლდათ, რომელმაც ჟურნალისტური გამოძიება ჩაატარა და მისი შედეგი საზოგადოებას 1998 წლის 26 ოქტომბერს ამცნო.

ქალბატონი თეა ასათიანი სტატიის ბოლოს ასკვნის: **„სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ სტატიაში აღვნიშნავდით, რომ მავანი ცდილობს, ანტიქართული ისტერიის წამყვანი თეზა „საქართველო უქართველებოდ“ უნივერსიტეტის კონტექსტში განახორციელოს. დღეს იმავეს ვიმეორებთ! და ვიმეორებთ უფრო ხმამაღლა! რამეთუ რეპრესიების პროცესი უკვე დაიწყო. სანდო წყაროზე დაყრდნობით, შესაძლოა, პროფესორ სავანელის ბედი ახლო მომავალში სხვებმაც გაიზიარონ. კანდიდატურები უკვე არსებობს...**

**ფრთხილად! აჩრდილი დადის უნივერსიტეტში... პენსნეიანი აჩრდილი...“**

ქალბატონი თეა ასათიანის წინასწარმეტყველება ახდა: **პენსნეიან აჩრდილად უნივერსიტეტს გია ხუბუა მოევლინა.** გაიხსენეთ, **ხუბუას** ბრძანებით უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების წინააღმდეგ განხორციელებული სისასტიკე, ზონდერების მეშვეობით მათი დარბევა და უნივერსიტეტის შენობიდან გამოყრა, და მათი სისხლის სამართლის წესით გასამართლება. არადა, ცოტა ხნით ადრე საზოგადოება გაზეთ „რეზონანსის“ ფურცლებიდან დავმოძღვრე. სტატიის სათაური იყო: **„ფრთხილად, ქართველნო, ჩვენ 30-იან წლებში გვაბრუნებენ“.** გაცილებით ადრე, როდესაც მე (ისევე როგორც ბევრი შემდგომში „ჩარეცხილი“ ჭეშმარიტი ინტელიგენტი) გულწრფელად ჩართული ვიყავი „ვარდების რევოლუციის“ პროცესში, მაშინ ალექსიძე, ისევე როგორც შევარდნაძის „ბოთლზე“ მყარად მორგებული ბევრი მოინტელიგენტო საცოდავი, ბინებში შეყუჟული შიშისგან თრთოდა (ამ ფაქტს გოკა გაბაშვილიც კი დაადასტურებს). თუ არა ნინო ბურჯანაძე, სააკაშვილი ალექსიძის მოსროლასაც აპირებდა. და დღეს, ბურჯანაძის გუნდიდან ალექსიძე სააკაშვილის გუნდში გადაბარგდა.

მიუხედავად ამისა, 20 დღის თავზე „ვარდების რევოლუციის“ გამარჯვების მხარდამჭერ გაზეთ „24 საათისათვის“ მიცემულ ინტერვიუში სააკაშვილი და მისი გუნდი გავაფრთხილე საქართველოს კონსტიტუციის მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე მუხლის ჩარჩოებში ჩატეულიყვნენ (იხ. გაზეთი „24 საათი“, 13 დეკემბერი, შაბათი, № 322). სხვათა შორის, გაზეთი „24 საათი“ დღეს მთლიანად პროსამთავრობო გაზეთად იქცა. ეს კი უკვე სხვა გაზეთებისთვის, და საერთოდ საქართველოსთვის, საგანგაშო სიგნალია!

ჩემი გაფრთხილება ყურად არ იღეს, და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ: ახალგაზრდების მკვლელობათა მთელი სერია, 7 ნოემბერი, 5 ნოემბერი, 21 მაისი და ბოლოს ყველაფრის აპოგეა – დაკარგული ტერიტორიები და ლტოლვილთა ახალი ტალღა, რომ არაფერი ვთქვათ რუსეთისთვის სტრატეგიული ობიექტების მიყიდვაზე, დემოგრაფიულ კატასტროფაზე, ხალხის უკიდურეს გაღატაკებაზე, და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალო.

ასევე ახდა ქალბატონი თეა ასათიანის მეორე წინასწარმეტყველება, რაც სტატიის სათაურში გამოიხატა: „პროფესორ სავანელის საბედისწერო რეპლიკა“.

და სწორედ ამის შემდეგ „დაიწყო თავდავიწყება“ – შეტევა დევნაში გადაიზარდა.

სადავოდ გახადეს 1992 წელს მათივე სადისერტაციო საბჭოს მიერ ჩემთვის სადოქტორო ხარისხის მინიჭების კანონიერება, და მტკიცებულებათა უკმარისობის „შესავსებად“ მოგვიანებით **სადოქტორო დისერტაცია და მის დაცვასთან დაკავშირებული ოფიციალური დოკუმენტაცია გააქრეს,** რის აღმსრულებლად მათი ჯგუფის წევრი, ადრე სუკთან ასევე დაახლოებული ცაცანაშვილი გამოიყენეს.

ესეც არ იკმარეს. 2005 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოაცხადეს კონკურსი. კონკურსის იმიტაციის პიონერად თავი იურიდიულმა ფაკულტეტმა გამოიჩინა. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ ალექსიძის „გულშემატკივარი“ დემეტრაშვილი დაინიშნა, ხოლო კომისია მხოლოდ ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებით დაკომპლექტდა, და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ: **საკონკურსო კომისიის წევრებმა ერთმანეთი აირჩიეს.** ამ „არჩევნების“ შეფარულად სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, სოროსის ფონდის წინაშე მრავალგზის დავალებული ხუბუა იყო.

პარალელურ რეჟიმში დევნა გეზს ჩემს საზოგადოებრივ მოღვაწეობისკენაც იღებს.

2004 წლის მაისში ჩემი მეცადინეობით ჩამოყალიბდა საინიციატივო ჯგუფი საქართველოს ეროვნული აკადემიის ორი აკადემიკოსის და სამი მოთავე სახელმწიფო უნივერსიტეტის ხუთი პროფესორის შემადგენლობით. საინიციატივო ჯგუფმა შეიმუშავა პეტიცია გაეროს გენერალური ასამბლეის, საქართველოს პრეზიდენტის და საზოგადოების მისამართით. პეტიციის მოთხოვნა ასე ჟღერდა: **„ლტოლვილთა უპირობო დაბრუნების მანდატით სოხუმის და ცხინვალის რეგიონებში რუსეთის დე ფაქტო საოკუპაციო ჯარს ჩაენაცვლოს გაეროს სამშვიდობო შეიარაღებული ძალები საქართველოს არამოსაზღვრე ქვეყნებიდან“.** ამ მოთხოვნას 2004 წლის 5 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის აუდიტორიაში შეკრებილმა 55 პროფესორმა ერთხმად მხარი დაუჭირა და პეტიცია გაეროს გენერალური ასამბლეას, საქართველოს პარლამენტს და საქართველოს პრეზიდენტს გაეგზავნა. მოგვიანებით პეტიციის ხელმოწერები გაითხოვა სამმა პროფესორმა, მათ შორის **ხუბუამ** (!)

პეტიციის მხარდაჭერის პროცესში ჩაერთო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულმა სხდომამ, რომელსაც ქალბატონი გიული ალასანიაც ესწრებოდა, მხარი დაუჭირა პეტიციას, რის შესახებაც ინფორმაცია საზოგადოებას გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ აუწყა (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 2005 წლის 26 თებერვალი“). ყველაფერმა ამან, ლევან ალექსიძე მწყობრიდან გამოიყვანა: 2005 წლის 2 აპრილის გაზეთ „24 საათში“ მან ჩემს შესახებ პასკვილი გამოაქვეყნა, რომელშიც ბრალი დამდო იმაშიც, რომ პროფესორები და მეცნიერები, და საერთოდ საზოგადოება, შეცდომაში შევიყვანე.

პასკვილს პასუხი ცნობილმა ექიმმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა და პროფესორმა, საინიციატივო ჯგუფის წევრმა, ბატონმა შოთა მირაშვილმა გასცა. მომყავს მცირე ამონარიდი სტატიიდან.

**„ბატონო ლევან, 2 აპრილის გაზეთ „24 საათში“ თქვენ წერთ, რომ თითქოს პროფესორ „ბიძინა სავანელს არ ძალუძს აფხაზეთის სტატუსის მოგვარებასთან დაკავშირებით კონცეფციის ჩამოყალიბება, რომელიც რეალურ ფაქტებსა და მეცნიერულად გააზრებულ დებულებებს დაეყრდნობოდა“.**

**თქვენ კი შეძელით? თქვენ მიერ ჩამოყალიბებული კონცეფციის შედეგებს გვიჩვენებთ? კიდევ რამდენი წელია საჭირო, რომ თქვენმა კონცეფციამ შედეგი გამოიღოს? თვლით თუ არა, რომ შევარდნაძის და თქვენი, როგორც საერთაშორისო სამართლის საკითხებში მისი მრჩევლის, კონცეფციის შედეგია აფხაზეთის მოსახლეობის „გარუსულპასპორტება“ და აფხაზეთის დე ფაქტო ოკუპაცია და ანექსია? ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალთა შორისაც ხომ არ არიან მსურველები, რომ რუსული პასპორტები მიიღონ? თქვენ რომ მათ შორის იყოთ, როგორ მოიქცეოდით? ხომ არ არჩევდით, ამჟამად აფხაზეთში ცხოვრობდეთ და ახალთახალი რუსული პასპორტით თქვენი პერსონა დაგემშვენებინათ?**

**გეკითხებით, ვინ, რომელი მეცნიერი თუ არამეცნიერი არ დაეთანხმება უპირობოდ თავიანთ საცხოვრისებში პროფესორ სავანელის მიერ მითითებული გზით დაბრუნებას და მათი უსაფრთხოებისათვის სათანადო პირობების შექმნას? თქვენ? მაშინ რას უპასუხებდით საქართველოს მოსახლეობას და ლტოლვილებს; როდემდე შემოსციცინონ თქვენ თვალებში მოკიაფე მეცნიერული დასკვნების, თეორიების და კონცეფციების ბრწყინვას, შეპასუხების და პოლემიკის რახარუხს საცხოვრისიდან აყრილმა და სამშობლოში სამშობლოს დაკარგვით გამოწვეული ტკივილით და ცხარე ცრემლებით დამწვარი თვალებით? როდემდე?!**

**უმეცრება სწორედ ისაა, რომ ერთმანეთში აურიო, ერთი მხრივ, ორ სახელმწიფოს შორის პოლიტიკურ ურთიერთობათა ფორმატში ერთი სახელმწიფოს უფლება მოსთხოვოს მეორე სახელმწიფოს სამხედრო ნაწილების გაყვანა და, მეორე მხრივ, ლტოლვილთა და ადგილნაცვალთა უფლება – დაუბრუნდეს თავის საცხოვრისს. რატომ უნდა შფოთავდეთ, თუ კი ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია მხარს დაუჭერს ლტოლვილთა უპირობო დაბრუნების მანდატით სოხუმის და ცხინვალის რეგიონებში რუსეთის დე ფაქტო საოკუპაციო ჯარის ჩანაცვლებას გაეროს სამშვიდობო შეიარაღებული ძალებით საქართველოს არამოსაზღვრე ქვეყნებიდან?**

**შეიძლება, ადამიანი გძულდეთ, მაგრამ თქვენი ასაკის და რენომეს მქონე პიროვნებას განა ეკადრება საზოგადოებრივ არენაზე ასეთი ბოღმიანი და გაუწონასწორებელი მიმართვით გამოსვლა?**

**თქვენ აშკარად გაღიზიანებთ ის, რომ უცხოეთის სამეცნიერო ცენტრების მიერ პროფესორი ბიძინა სავანელი ცნობილია როგორც ავტორიტეტი სამართლის ფილოსოფიაში და ადამიანის საერთაშორისო უფლებათა განათლების დამფუძნებელი საქართველოში.**

**თქვენი წერილი წმინდა წყლის პასკვილია, ბატონო ლევან! როდემდე უნდა ვიყოთ ასეთი შურიანები და დაუნდობლები ერთმანეთის მიმართ? და რაც მთავარია, ვის სასარგებლოდ?! აფხაზეთი და შიდა ქართლი ხომ ყველა ჭეშმარიტი ქართველის ტკივილია. ამ გაუთავებელ და უნაყოფო ქიშპობაში საქართველო შემოგვეძარცვა!**

**თქვენი სტატიის პათოსი ძლიერ მაეჭვებს, რომ თქვენ „ქართლის ბედმა სიყრმიდანვე აგიყოლიათ“. ჭეშმარიტად „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძევს კაცით კაცამდე“ (იხ. გაზეთი “24 საათი“, 2005 წლის 8 ივნისი).**

მე კითხვას ვსვამ: მაშ, ვინ ყოფილა რუსეთზე შეფარულად სულმიყიდული კოლაბორაციონისტი, თუ არა საკავშირო დონეზე რუსეთის ყოფილი აგენტი „ანდრეი“, თუ არა ლევან ალექსიძე!

**ალექსიძემ საბჭოთა კგბ-ს იდეოლოგიური სამსახურისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი მზაკვრობა და ავანტიურა ჩაიდინა. მან ჩემს საგაზეთო სტატიებში რუსეთის მიერ ომის დანაშაულის ჩადენის ფაქტები მიაჩუმათა და მთავრობის ყურადღება სააკაშვილის ქმედებების გამართლებაზე მლიქვნელურად გადაიტანა, რითაც შეფარულად რუსეთის წისქვილზე წყალი მიუშვა.** და ეს მაშინ, როდესაც ჩემს საგაზეთო სტატიებში და სატელევიზიო გამოსვლებში, მისგან განსხვავებით, გამოწვლილვით ჩამოვთვალე რუსეთის ბრალეული ქმედებანი, რის საბუთად „ტალიავინის დასკვნიდან“ ამონარიდი უცვლელად მოვიყვანე, და რასაც კიდევ ერთხელ საზოგადოებას შევახსენებ.

**„ტალიავინის დასკვნის“ მიხედვით რუსული მხარის საწინააღმდეგო ფაქტები შემდეგია:**

„ბრძოლებმა 8 აგვისტოს და შემდგომ დღეებში საქართველოს სხვა მხარეებში გადაინაცვლა, რაც ხუთი დღე გაგრძელდა. ქვეყნის ბევრ ადგილას მან გამოიწვია სერიოზული ნგრევები, რამაც მიაღწია უკიდურეს დონეს ბევრ ქალაქში და სოფელში. რუსეთის შეიარაღებული ძალების მოქმედება, რომელსაც თან ახლდა საჰაერო დარტყმები და შავი ზღვის აკვატორიაში შესვლა, გავრცელდა საქართველოს სიღრმეში, მოიცვა აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალი, მიაღწია ფოთის პორტს და შეჩერდა დედაქალაქ თბილისთან ახლოს. ამ ფაქტების კომბინაცია სხვადასხვა დონით და ხარისხით წარმოადგენდა რუსეთის მხრიდან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებათა სამართლის დარღვევას. რა თქმა უნდა, ყველაფერი ის, რაც მოხდა, ბევრ შემთხვევაში ინიცირებული იყო სამხრეთ ოსეთის არარეგულარული შეიარაღებული ჯგუფების ქმედებებით, რასაც ადეკვატურად არ აკონტროლებდა რუსეთის შეიარაღებული ძალები.

**რუსეთის მხრიდან შეიარაღებული კონფლიქტი რა მიზეზებმა გამოიწვია?**

– პირველი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის საგარეო პოლიტიკა ორიენტირებულია პრიორიტეტულ ინტერესებზე მისი საზღვრის ახლო ზონების მიმართ.

იხ. 5 გვ.

პრობლემა

***ბათუმის ბულვარის და მისი მიმდებარე ახალი გზის მშენებლობას, რომელიც აეროპორტს უნდა შეუერთდეს, ადლიის მოსახლეობის მძაფრი პროტესტი მოჰყვა. ადლია ახლა ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში შედის. 16 თებერვალს ადლიელები მშენებლობის ადგილას შეიკრიბნენ, მაგრამ რადგან დარწმუნდნენ, რომ მათს ამ აქციას დიდი რეზონანსი არ ჰქონდა, მეორე დღეს, 17 თებერვალს ბათუმის მერიას ეწვივნენ.***

***შეკრებილებს ბათუმის მერი რობერტ ჩხაიძე, მერიის პასუხისმგებელი მუშაკები და ბათუმის საკრებულოს დეპუტატები შეხვდნენ. საუბარი დაძაბული გამოდგა. ადლიელები განსაკუთრებით აღაშფოთა იმ ფაქტმა, რომ სახელმწიფო მათ ერთ კვადრატულ მეტრ ფართობ სავარგულში 67 ლარს აუნაზღაურებს, ხოლო საცხოვრებელ ფართს ერთი ერთზე, ანუ ვისაც რა ფართობის საცხოვრებელი აქვს, იმდენივეს ქალაქ ბათუმში მისცემს... 2012 წელს. დღეს ჭკუათმყოფელ კაცს ვერ ნახავ, რომელიც დაგეთანხმება იმაზე, რომ აჭარის ზღვისპირა ზოლში, ზედ ზღვაზე მიწა ასე იაფი ღირდეს.***

# პრეზიდენტის გზა ბათუმელებს აეროპორტამდე მიიყვანს?




არადა, თბილისიდან ჩამოყვანილ აუდიტს, რომელიც ბათუმის მერიის მოწვევით იყო ჩამოსული, სწორედ ეს ფასი დაუდგენია. რაღა თქმა უნდა, საკუთრების ჩამორთმევაში გაწაფულ ჩინოვნიკებს ყველაფერი წინასწარ აქვთ გათვალისწინებული და მათს მიერ შედგენილ საბუთებს წუნს ვერავინ დასდებს. დროულად გამოქვეყნდა პრესაში ბათუმის საკრებულოსა და საქართველოს პრეზიდენტის დადგენილებები და ბრძანებულებები, სასამართლოს განცხადება ქონების ექსპროპრიაციის თაობაზე სხდომის დანიშვნის თარიღის შესახებ, მიწის მეპატრონეებსაც ოფიციალურად ჩაბარდათ სათანადო შეტყობინებები და სხვა ყველა ფორმალობაც დაცულია. ერთი რამ ვერ მოაგვარეს ბათუმელმა ჩინოვნიკებმა. კერძო საკუთრების მეპატრონეები ჯერჯერობით ვერ დაითანხმეს ქონების დათმობაზე. არადა, რამდენიც არ უნდა იმიტინგონ მიწების მეპატრონეებმა, მათი საქმე წასულია, რადგან საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის შესაბამისად აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია საკუთრების ჩამორთმევა ექსპროპრიაციის გზით. ექსპროპრიაციის უფლების მინიჭება ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე და სასამართლოს გადაწყვეტილებით. პრეზიდენტის ბრძანებულებით განისაზღვრება აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების ექსპროპრიაციის გარდაუვალობა და სუბიექტი, რომელსაც უნდა მიენიჭოს ქონების ჩამორთმევის უფლება. ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ექსპროპრიაციის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ სასამართლო.

ბათუმის მერიამ საქალაქო სასამართლოს ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე 2010 წლის 29 იანვარს მიმართა განცხადებით. რა ბევრი ფიცი-მტკიცი უნდა იმას, რომ სასამართლო ბათუმის მერიას ქონების ექსპროპრიაციის უფლებას მისცემდა. სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე 12 თებერვალს დაინიშნა განცხადების განხილვა. შესაშური ოპერატიულობაა, არა?! თუ გავითვალისწინებით, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება 2010 წლის 15 იანვარსაა გამოცემული, ადვილი მისახვედრია, რომ მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილიდან აყრა საშური საქმეა და დაყოვნება არავის ეპატიება როგორც თავად მოსახლეობა აცხადებს, მარტის ბოლოს მათ ყანებზე და ბაღებზე გზა უნდა იყოს გაყვანილი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბათუმელ ჩინოვნიკებს პრეზიდენტი თავებს დააყრევინებსო. არადა, არჩევნების წინ სახელმწიფო მოხელეებს, რაგინდ უთაონიც არ იყვნენ, თავები მხრებზე ძალიან სჭირდებათ.

**ადლიის მოსახლეობის უბედურება ჯერ კიდევ ბათუმის წინა მერის ირაკლი თავართქილაძის დროს დაიწყო, როცა ხელვაჩაურის რაიონის მიწების ქალაქისათვის შემოერთების პროექტი შეიქმნა. მაშინ არავინ არ ისმინა არასამთავრობო ორგანიზაცია „ექსპერტთა კავშირის“ თავმჯდომარის თამაზ ცინცაძის გაფრთხილება, რომ რაიონის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ქალაქისათვის გადაცემას მოსახლეობის ქონების გაუფასურება მოჰყვებოდა შედეგად. იმ მერის დროს ბათუმის მერიაში დიდი ოდენობის ქრთამის აღების ორი ფაქტი დაფიქსირდა, მერე ფერიის მთაზე მშენებარე ეკლესიის დანგრევაც დასდეს მერს ბრალად. ამდენ სკანდალს შედეგად ის მოჰყვა, რომ ირაკლი თავართქილაძე მერის სავარძლიდან საბერძნეთში საქართველოს ელჩის სავარძელში გადაბრძანდა, სადაც დღემდე სვებედნიერად აგრძელებს მოღვაწეობას. როგორც ბათუმში ამბობენ, ირაკლი თავართქილაძეს ბოლომდე უპატრონა მისმა თანაკურსელმა და კოლეგამ, თბილისის მერმა გიგი უგულავამ. ადლიელები წყევლა-კრულვით მოიხსენიებენ ქალაქის არა მარტო დღევანდელ მესვეურებს, არამედ ყოფილ მერსაც.**

აქციის მონაწილეებმა ბათუმის მერს მოსთხოვეს, რომ ისინი ახლავე დაეკმაყოფილებინა ბინებით და არა 2012 წელს, როგორც ხელშეკრულებაშია გათვალისწინებული. „მაგენი 2012 წელს აღარ იქნებიან თანამდებობებზე, ვინც იქნება ისინი გვეტყვიან, ვინც შეგპირდათ იმათ მოსთხოვეთ ბინებიო და დავრჩებით ცარიელ-ტარიელი ისე, როგორც დოლიძეები დატოვეს“, გაგვიცხადა ერთმა ადლიელმა.

დოლიძეების ამბავი კი ასეთია: მათი საცხოვრებელი 2007 წელს ზღვის სტიქიამ დაანგრია. გაჭირვებულებს, რომელთა საცხოვრებელიც ხელვაჩაურის რაიონის ფარგლებში მდებარეობდა, მშველელად ბათუმის მერია მოევლინა და ისმაილ, ჯაბა, ლაშა და თამარ დოლიძეებს 2007 წლის 14 დეკემბრით დათარიღებული „ვალდებულებების აღების ხელწერილი“ მისცა, რომლითაც მერია კისრულობდა, რომ 2008 წლის ბოლომდე მათ ქ. ბათუმში უზრუნველყოფდა ბინებით. მას შემდეგ ადლიის ღელეში ბევრმა წყალმა ჩაიარა, ოღონდ შეპირებული საცხოვრებელი არავის მიუცია სახლკარდაქცეულთათვის. ახლა კი იმ მიწასაც ექსპროპრიაცია ემუქრება, ჯერჯერობით ზღვის შემოტევას რომ გადაურჩა. გაუგებარია, რატომ იკისრა მაშინ ბათუმის მერიამ ხელვაჩაურის რაიონის მოსახლეობის ბინებით დაკმაყოფილება, როცა თავადაც ბევრი სახლდამწვარი და გაჭირვებული უბინაო ყავს საპატრონო.

როგორც მერიის ადმინისტრაციის უფროსმა გელა მახარაძემ „საქართველოს რესპუბლიკას“ განუცხადა, ქონების ექსპროპრიაცია ადლიელთა 86 ოჯახს ემუქრება, აქედან ბინით დასაკმაყოფილებელია მხოლოდ 27. დანარჩენი მიწის და ნარგავების ღირებულებას მიიღებს. სხვათა შორის, ადლიელები არამარტო მიწის დაბალ ღირებულებას აპროტესტებენ, არამედ იმასაც აცხადებენ, რომ კომისიამ მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებზე ნარგავების ზუსტი რაოდენობა არ დააფიქსირა, რითაც „განკულაკებულებს“ მნიშვნელოვანი ზარალი მიადგათ. ხალხი ციტრუსისა და ხეხილის ნარგავების ხელახალ აღწერასაც ითხოვდა ბათუმის მერიისაგან. ზოგი ერთ კვადრატულ მეტრ მიწის საფასურად 200 ლარს, ზოგიც 200 დოლარს ითხოვდა, სხვა – 500, ზოგიც – 1000, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მათი წინაპრები ზღვის პირას ამ ადგილას ცხოვრობდნენ, ისინიც აქ დაიბადნენ და წასვლასაც არსად არ აპირებენ.

ცოდვას ვერ ვიტყვი, ბათუმის მერი რობერტ ჩხაიძე კორექტულად იქცეოდა. აღელვებულ, ზოგჯერ განრისხებულ ადლიელებს პირდებოდა, რომ ერთხელ კიდევ გადახედავდა ქონების შეფასების კრიტერიუმებს. სათითაოდ შეხვდებოდა ყველას და ისე გადაწყვეტდა ექსპროპრიაციის საკითხს, რომ არც მწვადს დაწვავდა და არც შამფურს. თუმცა ეს შეპირება ადლიელებს არ სჯეროდათ. ბათუმის საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატები – რესპუბლიკელები ირაკლი ჩავლეიშვილი და თემურ ყურაშვილი, ასევე ლეიბორისტი დავით რობაქიძე არანაკლებ კატეგორიულები იყვნენ. ისინი აცხადებდნენ, სახელმწიფო ბათუმის მერიის სახით ხალხს ძარცვავს და საკუთრებას გროშებად ართმევსო.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ლეიბორისტი დავით რობაქიძე და მერიის აპარატის უფროსი გელა მახარაძე კინაღამ ხელდახელ შეებნენ ერთმანეთს. ისინი ისევ მომჩივნებმა გააშველეს. სხვათა შორის, აპარატის უფროსის მიმართ შეკრებილები განსაკუთრებულ აგრესიას ამჟღავნებდნენ. ერთმა ადლიელმა, რომელმაც გასაგები მიზეზების გამო ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, მითხრა „ასლან აბაშიძეს მერიაში რუსტამ ბადოევი ჰყავდა, რომელიც ხალხს სულს ხდიდა, „ვარდების ხელისუფლებამ“ საძულველი ჩინოვნიკი ციხეში ჩასვა, მაგრამ ფული გადაახდევინა და მალევე გამოუშვა. თუმცა მას ბათუმში არ დაედგომებოდა და რუსეთს შეაფარა თავი. მისი ადგილი, როგორც ჩანს, გელა მახარაძემ დაიკავაო“.

ასეა თუ ისე, ადლიის 8 ათეულ ოჯახს საცხოვრებელი ადგილის დატოვება მოუწევს, რადგან მათი ქონების ექსპროპრიაციის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულებაცაა და სასამართლოს დადგენილებაც. ერთადერთ იმედად ავტორიტეტული აუდიტის მოწვევა და სასამართლოში საჩივრის შეტანა რჩება. თუმცა ეს იმედიც, თითქმის გადაწურულია. როგორც ადლიის მცხოვრებნი ამბობენ, მათ არც აუდიტის მოსაწვევი თანხა აქვთ და არც სასამართლოს ხარჯების გაღება შეუძლიათ. არადა, ბულვარი უნდა გაგრძელდეს, გზაც გავიდეს პირდაპირ აეროპორტამდე და ეს ყველაფერი საკურორტო სეზონის დაწყებამდე მოესწროს. ეს უმოკლესი გზაა აეროპორტამდე და ზღვის პირს გაუყვება. მართლაც რომ ლამაზი სანახავი იქნება და ქვეყნის პრეზიდენტიც, სტუმრებთან ერთად, დაბრკოლების გარეშე და, რაც მთავარია, დანგრეული და მოუწესრიგებელი ბათუმის ქუჩების გვერდის ავლით ესტუმრება აეროპორტსა თუ საქართველო-თურქეთის საზღვარს.

**გზა კი იქნება, მაგრამ ამ გზით აშენებული გზა ტაძრამდე მიგვიყვანს?**

**ამირან კილურაძე**
**ბათუმი.**

ვინ – ვის!

# ხელისუფლება ლოთი ქობალიას და მის მომხრეებს მეშრება!

**მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ სამეგრელოს ორგანიზაციის ხელმძღვანელი ლოთი ქობალია ხელისუფლებას ამ ორგანიზაციის აქტიური წევრების დაშინებასა და ზეწოლაში ადანაშაულებს.** „ჩვენ ვიბრძვით იმისთვის, რომ საქართველოში იყოს დემოკრატია და არა ტერორი. ჩვენი ორგანიზაციის წევრებთან მოდიან „კუდისა“ და „სოდის“ თანამშრომლები და გვაშინებენ, გვემუქრებიან. წალენჯიხის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელს ბესიკ ძაძამიას განუცხადეს, რომ იყავი ამ მოძრაობაში, მაგრამ ჩვენთან ითანამშრომლეო! იგივეს ეუბნებიან ყოფილი ეროვნული გვარდიის წევრებსაც. შედით ამ მოძრაობაში, მერე ჩვენთან ითანამშრომლეთ, რომ ეს მოძრაობა დავშალოთო! ჩვენ ამას არავის არ ვაპატიებთ. ახლა ის დრო არ არის, რომ ხალხი დააშინონ“! – განაცხადა საკუთარ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ლოთი ქობალიამ.

მისივე აღიარებით, ზურაბ ნოღაიდელის მოძრაობას დასამალი არაფერი აქვს, მოვიდნენ ჩვენთან, დაესწრონ შეხვედრებს, რა გვაქვს დასამალი, ჩვენ აფხაზებთანაც ვეძებთ მისასვლელ გზებს, რადგან ისინი ჩვენი მტრები არ არიან, აფხაზი ძმები ჩვენ ძალით გადავიმტერეთ, თქვა ლოთი ქობალიამ. მისი განმარტებით, ხელისუფლება, თურმე ახალ ბრალდებას უმზადებს, თითქოს 1993 წლის სექტემბერში გადაკეტა ენგურის ხიდი და დევნილებს აფხაზეთიდან სამაგრელოში არ უშვებდა! – ეს არის მტკნარი სიცრუე. არავითარი გზა მე არ გადამიკეტავს და არც დევნილებისთვის შემიშლია ხელი გადაადგილებაში. ეს იმიტომ მოიგონეს, რომ ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს დევნილებთან და ახლა უნდათ ერთმანეთს დაგვაპირისპირონ, რათა არჩევნებში ხმა არ მოგვცენ...

ეს ოინები მათ არ გაუვათ! – დასძინა ლოთი ქობალიამ.

ამ დღეებში ლოთი ქობალიას საკუთარი „მერსედესით“ ავარიაც შეემთხვა სოფელ ცაიშთან და მსუბუქი დაზიანებაც მიიღო. მაგრამ ამის შესახებ მას არაფერი უთქვამს, რადგანაც ავარიას თავის პოლიტიკურ აქტიურობას არ უკავშირებს.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი.**

ინფორმაცია

## სააკაშვილი იანუკოვიჩს ინაუგურაციაზე არ მიუწვევია

**საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს უკრაინის ახლადარჩეული პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის ინაუგურაციაზე პირადი მიწვევა არ მიუღია.**

**– მიხეილ სააკაშვილს ინაუგურაციაზე დასწრებასთან დაკავშირებით პირადი მიწვევა არ მიუღია. უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგების გამოქვეყნების მეორე დღესვე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში კიევიდან შემოვიდა ნოტა, რომელშიც ნათქვამია, რომ პრეზიდენტ იანუკოვიჩის ინაუგურაციაზე იწვევენ საქართველოს მაღალი დონის დელეგაციას, – განაცხადა პრესკონფერენციაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ.**

**მისივე განმარტებით, დელეგაციის შემადგენლობას საგარეო უწყება დააკომპლექტებს.**

**– ამ ეტაპზე უცნობია, თუ ვინ გაემგზავრება საქართველოს მხრიდან უკრაინის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე. დელეგაციის შემადგენლობა ჯერ არ გადაწყვეტილა, – განმარტა კალანდაძემ.**

ჯი-ეიჩ-ენი

# პასუხი რუსეთის მსტოვარს „ანდრეის“,

## ანუ

## შიშველი მეფის

# ლევან ალექსიძის

## რეალური პორტრეტი

(მესამე გვერდიდან)

— მეორე მიზეზია საქართველოს ახალი ხელისუფლების მკვეთრად პროდასავლური ორიენტაცია და სააკაშვილის ენერგიული მოძრაობა ნატოსკენ.

— მესამე მიზეზია აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ, მაშინ როდესაც ასეთი სწრაფვა სრულიად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს და ფასდება როგორც ქვეყნის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა.

— მეოთხე მიზეზია რუსეთის „საპასპორტო პოლიტიკა“, რაც ასევე ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს. რუსეთის პასპორტების მქონე ოსები და აფხაზები არ შეიძლება განხილულ იქნან რუსეთის მოქალაქეებად და მათ ასეთად ვერ იცნობს ვერც საქართველო და ვერც მესამე სახელმწიფო. ისინი იყვნენ და რჩებიან საქრთველოს მოქალაქეებად მანამდე, სანამ ისინი კანონის ძალით არ გამოცხადდებიან მოქალაქეობის არმქონედ ან არ დაკარგავენ მოქალაქეობას სათანადო პროცედურის დაცვით. რუსეთის მოქალაქეობის მასობრივი გავრცელება საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს მთავრობის გვერდის ავლით არის საქრთველოს სუვერენიტეტის ხელყოფა და საქართველოს შინაურ საქმეში ჩარევა.

**ბრალდება პირველი.** სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის გარეთ 8 აგვისტოს დილით რუსეთის საჰაერო ძალების მოქმედებამ მოახდინა კონფლიქტის ესკალაცია. ვაზიანზე და გორზე საჰაერო შეტევას მოჰყვა შეტევის ზონის გაფართოება, რომელმაც მოიცვა მათ შორის სენაკის სამხედრო ბაზა, სამხედრო ობიექტები ფოთის პორტში, თბილისის აეროპორტის სარადარო სისტემა, სარკინიგზო ხაზები და საკომუნიკაციო ობიექტები და ინფრასტრუქტურა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა ცეცხლის უპირობო შეწყვეტა და განზრახვა შეიარაღებული ძალების სამხრეთ ოსეთიდან გაყვანის შესახებ. რუსეთის ქვეითმა ძალებმა 10 აგვისტოს გადაკვეთეს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის სამხედრო საზღვარი და შევიდნენ ბევრ დასახლებულ პუნქტში, მათ შორის გორში, ზუგდიდში, სენაკში და ფოთში. ფინალურ ფაზაში აფხაზური შენაერთები რუსული ძალების დახმარებით შეიჭრნენ ზემო კოდორის ხეობაში და მოკვეთეს ტერიტორია, რომელიც დასახლებული იყო მხოლოდ ქართველებით.

**ბრალდება მეორე.** ცხადია, რომ რუსეთის ბევრი სამხედრო ქმედება სცდება თავდაცვის გონიერ ფარგლებს, რაც, მათ შორის, გამოიხატა ზემო კოდორის ხეობის დაბომბვაში, საქართველოს უმთავრესი ქალაქების დაკავებაში, ისევე როგორც მთავარი მაგისტრალების გადაკეტვაში და შავი ზღვის სანაოსნო ობიექტების დაკავებაში. უფრო მეტი, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შემდეგ წამოწყებული ნგრევები სრულიად უსამართლო იყო. რუსეთის ყველა ეს ქმედება წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის დარღვევას, რადგან ყველა ამ ზონაში ქართული შეიარაღებული ძალები მოქმედებდნენ თავდაცვის ლეგიტიმურ ფარგლებში.

**ბრალდება მესამე.** რუსული მხარის მტკიცება იმის შესახებ, რომ სამხრეთ ოსეთში მისი შესვლა უნდა შეფასდეს როგორც ჰუმანიტარული ინტერვენცია, როგორსაც ადგილი ჰქონდა კოსოვოში ნატოს ჯარების შესვლასთან დაკავშირებით, მიუღებელია, რადგან რუსეთს ამოძრავებდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სხვა ინტერესები სამხრეთ ოსეთში და მთლიანად რეგიონში, და არა ჰუმანიტარული მიზნები.

**ბრალდება მეოთხე.** რუსულმა მხარემ ასევე დაარღვია 1994 წლის მოსკოვის შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ, როდესაც მხარი დაუჭირა აფხაზური ფორმირებების შესვლას ზემო კოდორის ხეობაში, რაც ასევე უნდა შეფასდეს, როგორც საერთაშორისო სამართლის დარღვევა.

**ბრალდება მეხუთე.** მისია ასევე ადასტურებს კონფლიქტის დროს და მის შემდეგ, სამხრეთელი ოსების მიერ ქართველების ეთნიკურ წმენდას, ქართული სოფლების ნგრევას, ქართველების წამებას და ქართველი ქალების გაუპატიურებას, მათ მიმართ განხორციელებულ ძალადობას, მოტაცებას, თვითნებურ დაკავებას, რაც არ იქნა აღკვეთილი და შეჩერებული რუსული ძალების მიერ, რაც მათ ევალებოდათ. აფხაზეთიდან ლტოლვილებს და იძულებით გადაადგილებულ პირებს დაემატა მათი ახალი ტალღა.

**ბრალდება მეექვსე.** დაძაბულობის ესკალაცია გამოიწვია რუსეთის მხრიდან ადრეულმა ქმედებებმა.

კერძოდ,

ა. აპრილში რუსეთმა გააფრთხილა თბილისი, რომ ნატოში საქართველოს გაწევრება გამოიწვევს ტერიტორიების საბოლოო დაკარგვას და რუსეთის შეიარაღებული ბაზები შეიძენება ამ ტერიტორიებზე.

ბ. მაისში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გააკეთა გამაფრთხილებელი განცხადება, რომ მოსკოვი მზადაა გამოიყენოს შეიარაღებული ძალა, თუ საქართველო დაიწყებს შეიარაღებულ კონფლიქტს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან.

გ. რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებმა რამდენჯერმე გადაუფრინეს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებს, მიუხედავად თბილისის გაფრთხილებისა.

დ. ივნისის დასაწყისში რუსეთმა საქართველოს ნებართვის გარეშე აფხაზეთში გაზარდა თავისი შენაერთების რაოდენობა და რკინიგზის რეკონსტრუქციის „ჰუმანიტარული მისიის“ საბაბით იქ ახალი შენაერთები გააგზავნა.

ე. ივლისში რუსულმა შენაერთებმა ჩაატარეს წვრთნა — „კავკასია 2008“.

**ბრალდება მეშვიდე.** რუსეთის მხრიდან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებათა სამართლის დარღვევები შემდეგია.

არსებობს სერიოზული და შემაშფოთებელი მტკიცებულებანი სამხრეთ ოსეთში ქართველების ეთნიკური წმენდისა და მათი საკუთრების განადგურებისა, რაც არ იყო აღკვეთილი რუსული მხარის მიერ.

კერძოდ,

აქ ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ სამხრეთ ოსეთში და ბუფერულ ზონებში ადგილი ჰქონდა ოსების მხრიდან ქართული სოფლების გადაწვას, ქართველების წამებას, ცემას, ტყვედ აყვანას, უკანონო დაპატიმრებას და ქალების გაუპატიურებას, რაც არ იყო აღკვეთილი რუსული მხარის მიერ.

ბქ სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ეთნიკური ქართველების მდგომარეობა გალის რაიონში კონფლიქტის დროს და მის შემდეგ.

დქ სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ეთნიკური ქართველების მდგომარეობა ახალგორის რაიონში, რომლებიც ამ რაიონის დატოვებას აგრძელებენ.

რუსეთის მხრიდან დარღვეულია საერთაშორისო სამართლის პრინციპები სახელმწიფო სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის შესახებ, აგრეთვე საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებები, რაც გამოიხატა ეთნიკურ წმენდაში და იქცა პოლიტიკურ რეალობად.

**რუსული მხარის მტკიცება იმის შესახებ, რომ სამხრეთ ოსეთში მისი შესვლა უნდა შეფასდეს როგორც ჰუმანიტარული ინტერვენცია, როგორსაც ადგილი ჰქონდა კოსოვოში ნატოს ჯარების შესვლასთან დაკავშირებით, მიუღებელია, რადგან რუსეთს ამოძრავებდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სხვა ინტერესები სამხრეთ ოსეთში და მთლიანად რეგიონში და არა ჰუმანიტარული მიზნები.**

რუსეთის მხრიდან ევროპის მიმართ პოლიტიკური ურთიერთობის ცივილიზებული სტანდარტებიდან გადახვევა ფაქტია, რის გამოც დასავლეთის სახელმწიფოებსა და რუსეთს შორის ურთიერთობა დაიძაბა“ (ტექსტის დასასრული. იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 253. ოთხშაბათი. 16 დეკემბერი. 2009 წელიძ.

ზემოაღნიშნული ფაქტები ალექსიძეს მიჩუმათებული აქვს, რაც ამტკიცებს იმას, რომ ლევან ალექსიძე რჩება საქართველოში **შეფარულად რუსეთზე სულმიყიდულ კოლაბორაციონისტად**.

რაც შეეხება პასკვილის სათაურის შესაძლო ავტორს, და თუ ეს ასეა, სამწუხაროდ ჩემ მეჯვარეს, ასეთი სიტყვებით შევამკობდი: „სათვალე მოიხსენი, წინდებს გახევ“.

ალექსიძის მიერ ფაქტების მიჩუმათებას ემატება მისი სრული უცოდინარობა და უვიცობა საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში.

ევროკავშირში შემავალი ქვეყნების მიერ ოფიციალურად წარდგენილი მისიის წევრები ორივე მხარეს ბრალს დებს არა მარტო საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევაში, არამედ აგრეთვე ომის დანაშაულში, კერძოდ სამოქალაქო ობიექტების და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალის გამოყენებაში, რაც განეკუთვნება არა საერთაშორისო, ანუ სახელმწიფოთაშორისო სამართალს, არამედ ჰუმანიტარული სამართლის სფეროს. ალექსიძეს განვუმარტავ, რომ საერთაშორისო სამართლის დაცვის ობიექტია სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობები, ხოლო ჰუმანიტარული სამართლისა — ძირითადად მშვიდობიანი მოსახლეობა და სამოქალაქო ობიექტები. აშკარაა, რომ საერთაშორისო სამართალი და ჰუმანიტარული სამართალი ერთმანეთისგან ალექსიძეს დღემდე ვერ გაუმიჯნავს, ისევე როგორც საერთაშორისო სამართალი და ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართალი. ცხადია, რომ ალექსიძე საბჭოთა კავშირში ჩარჩა, კერძოდ, 1950-60-იანი წლების მარქსისტულ-ლენინური სამართლებრივი იდეოლოგიის სივრცეში.

თუმცა მისია ქართულ მხარეს ბრალს სდებს ცხინვალის და მისი მიმდებარე სოფლების სამოქალაქო ობიექტების და მშვიდობიანი მოსახლეობის (საიდანაც მას საშიშროება არ ელოდაძ წინააღმდეგ გრადის და კასეტური ბომბების გამოყენებაში, მაგრამ ის რუსულ მხარეს ომის დანაშაულში ასევე ამხელს, კერძოდ იმაში, რომ რუსეთმა გადაკვეთა ადმინისტრაციული საზღვარი, შეიარაღებული ძალა გამოიყენა სამოქალაქო ობიექტების და მშვიდობიანი მოსახლეობის (საიდანაც მას საშიშროება ბუნებრივია არ ელოდაძ წინააღმდეგ, რამაც ქვეყნის ბევრ ადგილას გამოიწვია სერიოზული ნგრევები, და რომელმაც უკიდურეს დონეს საქართველოს ბევრ ქალაქსა და სოფელში მიაღწია.

**დასკვნა შემდეგია.** აგვისტოში ჩადენილი ომის დანაშაულის საქმეს „რომი სტატუტის“ შესაბამისად საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო განიხილავს, რომელიც ყველა შემთხვევაში ორივე მხარეს დაადანაშაულებს, მაგრამ პასუხისმგებლობის ზომა — 30 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან უვადო პატიმრობა — დამოკიდებული იქნება ბრალის ხარისხზე და შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებზე, რომელსაც საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო თემიდას სასწორზე ასწონის და მახვილს ამის შესაბამისად „მოუქნევს“ პერსონალურად პასუხისმგებელ პირებს.

**და მაინც, კერძო საკითხებს რომ თავი დავანებოდ, ისმის მთავარი, საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კითხვა: შეიძლებოდა თუ არა აგვეცილებინა: ომი რუსეთთან, აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ რუსეთის მიერ ოკუპაცია და მათი ცნობა?** საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ ზონაში შეჭრით, იქ სამოქალაქო ობიექტების და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალის გამოყენებით, ხელისუფლებამ ხომ საბაბი მისცა გამოუსწორებელ იმპერიალისტ და ვანდალ რუსეთის მთავრობას საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების უხეში დარღვევით აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ ოკუპაცია და მათი ცნობა მოეხდინა?

ჯერ ერთი, დასმულ შეკითხვაზე პასუხი შემდეგია: ომი და რუსეთის მიერ აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ ოკუპაცია და მათი დამოუკიდებლობის ცნობა შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა, თუ არა **ხელისუფლებაში მოსული ახალგაზრდების რადიკალური და პათოლოგიურად აფექტირებული ნაწილის საომარი ჟინი, რის გამოც აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ დაბრუნების საკითხმა გაურკვეველი დროით გადაიწია, თუ უარესი არ მოხდა!..** შედეგიდან თუ გამოვალთ, ომიდან გამარჯვებული პოლიტიკურად რუსეთი და დემოგრაფიულად სომხეთი გამოვიდა, რადგან დღეს აფხაზეთში სომხები ეროვნულ უმრავლესობას წარმოადგენენ. ამიტომ იყო ალექსიძე ლტოლვილთა უპირობო დაბრუნების მანდატით სოხუმის და ცხინვალის რეგიონებში რუსეთის დე ფაქტო საოკუპაციო ჯარის საქართველოს არამოსაზღვრე ქვეყნებიდან გაეროს სამშვიდობო შეიარაღებული ძალებით ჩანაცვლების სასტიკი წინააღმდეგი!

მეორე. ომი და რუსეთის მიერ აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ ოკუპაცია, და მათი დამოუკიდებლობის ცნობა შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა, **რომ „შვილებს“ თავის დროზე „მამებისთვის“ დაეჯერებინათ.** და აი რატომ.

საქმე ისაა, რომ ევროპის საპარლამენტო ასამბლეამ 2009 წლის 28 იანვარს მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმად აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“ უნდა შეიცვალოს სამშვიდობოების ფორმატი და მოხდეს სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაცია, ანუ უნდა მოხდეს ის, რასაც „ჩემს მიერ შექმნილმა შეყვანილი“ საინიციატივო ჯგუფი და 52 პროფესორი 2004 წლიდან დღემდე მოითხოვს. ამ მოთხოვნის გამო ალექსიძემ 2005 წელს უვიცი და უმეცარი მიწოდა! და დღესაც იგივეს იმეორებს. ამით მან არა მარტო საინიციატივო ჯგუფს და 52 პროფესორს შეურაცხყოფა მიაყენა, არამედ **ევროპის საპარლამენტო ასამბლეა ალექსიძემ უმეცართა და უვიცთა თავყრილობად გამოაცხადა.** და ამ დროს, ეს ის ევროპის საპარლამენტო ასამბლეაა, რომელმაც „დაგმო 2004 წლის 6 თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებებით პრეზიდენტისთვის უზომო ძალაუფლების მინიჭება და აჭარისთვის ავტონომიური უფლებების შეზღუდვა, რასაც ევროპის საპარლამენტო ასამბლეის აზრით უმძიმესი შედეგები შეიძლება მოჰყვეს.“ წინასწარმეტყველება, ქართველი ერისთვის საუბედუროდ, ახდა!

და ამიტომ, მთავარი ბრალდება, რომელსაც მე აგერ უკვე 5 წელიწადია ხელისუფლებას ვუყენებ და, განსაკუთრებით, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2009 წლის 28 იანვრის რეზოლუციის მიღების შემდეგ მისგან კატეგორიულად მოვითხოვ, შემდეგში მდგომარეობს:

თუ საქართველოს ხელისუფლებაში მოსულ ძალას სოხუმის და ცხინვალის რეგიონები ფარულად დე იურედ რუსეთზე არ აქვს გასხვისებული, მაშინ გაეროსგან რატომ დღემდე არ ითხოვს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2009 წლის 28 იანვრის რეზოლუციის ამოქმედებას, რომლის ძალით: „იმ უდავო მტკიცებულებათა შუქზე, რომ ომის დროს ქართულმა და რუსულმა მხარეებმა ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული სამართლის ნორმები დაარღვია, **ახალი სამშვიდობო ფორმატის შექმნას და სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციას** გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რეგიონში სტაბილობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, და **ამ რეგიონების სტატუსთან დაკავშირებული არ შეიძლება იყოს“,** ანუ გაეროს მიერ აღიარებულ საქართველოს ტერიტორიის ამ ორ სივრცეში ხელისუფლებაში მოსული ეს ძალა **ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალთა დაბრუნების მოტივით,** რატომ დღემდე გაეროსაგან არ მოითხოვს რუსეთის შეიარაღებული ძალების ჩანაცვლებას ინტერნაციონალური სამშვიდობო ძალებით, დაკომპლექტებულს საქართველოს არამოსაზღვრე ქვეყნებიდან, ანუ რასაც 52 პროფესორი 2004 წელს ითხოვდა?

**ამრიგად, საერთაშორისო სამართლის მეფე — შიშველია!**

**ბიძინა სავანელი,**

**ადამიანის უფლებათა ფილოსოფიის საერთაშორისო საზოგადოების დამფუძნებელი წევრი (აშშ), საერთაშორისო სამართლის ევროპული საზოგადოების წევრი (იტალია), სამართლის და საზოგადოების ევროპული ასოციაციის წევრი (საფრანგეთი), იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**



## მკითხველის ტრიბუნა: რამდენიც კაცია, იმდენი აზრია

# ...დიახ, დიახ, მზე დასავლეთიდან ამოდის!..

**გაზაფხული მოახლოვდა, მოახლოვდა ადგილობრივი არჩევნების დღეც. ოპოზიციური პარტიების ბანაკს გამოცოცხლება დაეტყო — მიმდინარეობს მზადება საგაზაფხულოდ დაგეგმილი აქციებისთვის, მიტინგებისთვის და გენერალური შეტევისთვის. მათი ლოზუნგია: გამარჯვება ან სიკვდილი!**

ზოგიერთი არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიის ლიდერები წინასააქციო და წინასაარჩევნო მოთელვას მოსკოვში გადიან. გაიმართება ასევე, პრეზიდენტობის კანდიდატების პრეზენტაცია. პირობა ასეთია: პრეზიდენტი გახდება ის, ვინც აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. ან გაერთიანებული საქართველო გახდება რუსეთის სატელიტი სახელმწიფო. არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები თანახმანი არიან წაყენებულ პირობებზე. აზრთა სხვადასხვაობა ვარიანტების აჩრევაშია. ნოღაიდელი უკანასკნელს ემხრობა, რადგან მასში ფიგურირებს სიტყვები — გაერთიანებული საქართველო. მასე, ბატონებო! ჭიჭიკიაც გაამთლიანებს საქართველოს. ქართველი ხალხი კი ის ჩიტი არ არის, რომელიც პუტინისა და მისი დამქაშების მიერ დადგმულ მახეში სატყუარის ასაკენკად შევა. ოპოზიციონერი ლიდერების ამგვარი მოქმედებები მათ პოლიტიკანობაზე მიგვანიშნებს და არა პოლიტიკოსობაზე.

ყველას ნოღაიდელმა დაასწრო, სტარტი წარმატებული აიღო, მარათონულ დისტანციაზე სპრინტერული სისწრაფე განავითარა და ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა, კარგი მაჩვენებლით. გაიარა პრეზენტაცია და შინ კმაყოფილი დაბრუნდა. იმედოვნებს, რომ მერის სავარძელს დაეუფლება. სავარძლის დაუფლების იმედს არც სხვა ლიდერები კარგავენ, მით უმეტეს, რომ ნოღაიდელს ფალშსტარტი დაუფიქსირეს. ვნახოთ, ვინ იქნება შემდეგი. ხელისუფლება კი იძულებული ხდება პრეზერვაციას მიმართოს.

**მოსკოვში ნოღაიდელი შეხვდა ყველაზე გავლენიან მაღალჩინოსანს — რომელიც მატყუარა და სხვის საქმეში მძრომელია, სხვა ქვეყნების ხალხისთვის მხოლოდ ცუდის მნდომელია, სხვისი ტერიტორიების მტაცებელი, მპყრობელია. პუტინი არის ვერაგი, მგელი ცხვრის ტყავში ხვეული, ვითომდა ქართველთ მოყვარე და ჩვენზე გადარეული, სინამდვილეში ფაქტები სულ სხვა ცხად რასმე ამბობდნენ, ეს მისი „მიგ"-ები იყო, ჩვენ სოფლებს რომ გვიბომბავდნენ. მსოფლიოს ხალხთა მოთხოვნა, მან არაფრად არ ჩათვალა, დაბომბვა არ მიატოვა და ბევრი ქართველი ბავშვი უდედოდ, ობლად დატოვა... მსოფლიოს კი ის უმტკიცებს, რომ მშვიდობის მთესველია. ამას გაჰყვირის მუდმივად, თვალთმაქცობით და ვიშითა, „არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა"...**

მიტინგებზე მწვავე ბატალიებისა და პერიპეტიების მოწმეები გავხდებით. შეიძლება ბევრმა ოპოზიციურმა პარტიამ კრახი განიცადოს და ისეთივე ბედი ეწიოს, როგორიც ედპ-სა და სოციალისტურ პარტიას 2003-2004 წლებში მოუვიდათ.

ოპოზიციური პარტიების ლიდერები მარტო ხელისუფლების გინებით არ შემოიფარგლებიან, ისინი ხალხს დაჰპირდებიან მედიის თავისუფლებას, ადამიანის უფლებების დაცვას და სხვა ამდაგვარებს... ეს სულს. კუჭს რას დაჰპირდებიან, ამოლერლონ. იმაზე მეტს ვერაფერს, რასაც ხელისუფლება დაგვპირდა, ვინაიდან ქვეყანას მეტი შესაძლებლობა არა აქვს. ამას დრო და წლები სჭირდება. ისინი კი მაინც რუსეთისკენ მიიწევიან. რუსეთთან ვიყოთ მეგობრულად, მაგრამ არა დამოკიდებულად. ანდაზა: „შემორიგებულ მტერს ნუ მიენდობიო", მათ უნდათ შემოურიგებელს მიენდონ?! მიეცით ხელისუფლებას საქმის კეთების საშუალება — შეეშვით დემაგოგიას, დებოშს, დივერსიას, საბოტაჟს, ნუ აიგივებთ ერთ მუჭა თქვენს მომხრეებს მთელ საქართველოსთან, ნუ იღებთ კრედიტებს და ნუ იძლევით თამასუქებს. ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, თქვენ მიერ აღებული მილიონები ერთიათად ქართველი ხალხის კისერს დააწვება და მათი ჯიბეებიდან იქნება ამოტყუებული. მიზანს ვერ მიაღწევთ. გაკოტრდებით. ფულით რევოლუცია არ ხდება. „ვარდების" რევოლუცია ფულით არ მომხდარა. ხალხი უნდა იყოს უკმაყოფილო. როცა დადგება თქვენი დრო, მოდით ხელისუფლებაში, თუ ამას დაიმსახურებთ. ილაპარაკეთ ცოტა და მართალი. „ჩხუბში ისეთ სიტყვას ნუ იტყვით, რომ შერიგებაში შეგრცხვეს"... „პირზე მომდგარსა სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდა". ნუ იმზირებით ჩრდილოეთისკენ. საქართველოს მზე დასავლეთიდან ამოდის. ეს არის თქვენი წარმატების საწინდარი.

ისეთი ქვეყნის ხელისუფლებისგან, რომელიც ბირთვული იარაღით, ატომური ბომბების დარტყმით გვემუქრება, კარგს რას უნდა ველოდეთ. მასთან საკითხების მოსაგვარებლად მოლაპარაკება და საერთო ენის გამონახვის მცდელობა, იგივეა, რაც „ჭიდან საცრით წყლის ამოღება". რუსეთი გვაიძულებს, ვემზადოთ ომისთვის, შევქმნათ მძლავრი იარაღი, რომელიც თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა; მზად ვიყოთ თავდაცვისათვის — კომუნისტების დროს სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობებში რადიაციის საწინააღმდეგო თავშესაფრებისათვის განკუთვნილი სარდაფები წესრიგში მოვიყვანოთ.

**ჩვენ არ გვინდა ცხელი ომი და არც ომი ცივი... მაგრამ, როცა ჩვენი მიწა-წყალი ოკუპირებულია, ერთიანი საქართველო სამად დანაწევრებულია, ფხიზლად ვიყოთ და ყველაფერი ვიღონოთ, ოღონდ მშვიდობიანი გზით, ერთიანი საქართველოსთვის.**



მკითხველს არ ეგონოს რომ მე სააკაშვილის აპოლოგეტი ვარ. ჯერჯერობით უბრალოდ უკეთესს ვერ ვხედავ...

**ოთარ შონია.**

*P. S. **პრეზიდენტ** გამსახურდიას მკვლელობის გამოძიება არ შეიძლება სრულყოფილად ჩაითვალოს, თუ არ იქნება გამოძიებული პუტჩის საქმე. გამსახურდია სასიკვდილოდ განწირული იყო პუტჩის დაწყების დღიდან. ხანდაზმულობის გამო შორს უნდა ვიყოთ იმ აზრისაგან, რომ პუტჩისტებს ციხეში ჩაამწყვდევენ, მაგრამ ხალხმა უნდა იცოდეს, რა ცოდვები აქვთ ჩადენილი და რა სასჯელს იმსახურებენ, რა დანაშაული მიუძღვით მათ ქვეყნისა და ერის წინაშე. თუ ჩვენ ვსჯით დამნაშავეებს პუტჩის მცდელობისთვის, რატომ არ უნდა დავსაჯოთ ისინი, ვინც ეს ჩაიდინა. კანონიერება მოითხოვს, რომ ისინი გასამართლდნენ. პროცესი უნდა წარიმართოს ღიად და მედიის საშუალებით ფართოდ გაშუქდეს. ეს პუტჩისტებისთვის აღსასრული იქნება, რითაც ისინი შეიძლება, ჯოჯოხეთში ჩასვლას ასცდნენ.*

*განსაკუთრებით მძიმე დანაშაულობებისთვის — სახელმწიფოს ღალატი, ჯაშუშობა, მკვლელობა — შემოღებულ უნდა იქნეს სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა. კორუფციისათვის და დიდი ოდენობით სახსრების მითვისებისთვის კი სასჯელი უნდა გამკაცრდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება რეციდივებს. რა ჯობია: არ იყოს სიკვდილით დასჯა, ამით თავი მოვაწონოთ მსოფლიოს, მაგრამ ხდებოდეს მძიმე დანაშაულობები, თუ, პირიქით, — იყოს სიკვდილით დასჯა და მძიმე დანაშაულობები მინიმუმამდე დავიდეს.*

*პოლიტიკაში დემოკრატიულობის ეგიდით შემოგდებულმა დიქტატურის ელემენტმა — ვეტომ დიდი ხანია თავისი დრო მოჭამა, საჭიროა, ის ისტორიის კუთვნილებად ვაქციოთ. ზოგიერთი სახელმწიფო მას იყენებს არა გლობალური ინტერესებიდან, არამედ საკუთარი ეგოისტური ინტერესებიდან გამომდინარე. განსაკუთრებით ეს ეხება რუსეთს.*

*ო. შ.*

## რა ენა წახდეს...

# კვლავ „მივიწყებული" სიტყვების გამო

**ვაგრძელებ „ჩაძირულ" სიტყვებზე საუბარს. ამ ჯერზე ორს შევეხები: „ბოლო", რომლის „დამჩაგრავია" „უკანასკნელი" და „დაშავებული", რომელსაც ხშირად „ამჯობინებენ" სიტყვას „დაზარალებული".**



**„ბოლო"** და **„უკანასკნელი"** თითქოს მახლობელი სიტყვებია შინაარსობრივად, მნიშვნელობით, მაგრამ თავ-თავის ადგილზე, ნიუანსობრივად მოითხოვენ ხმარებას. მაგალითისთვის, თუ განსვენებულ პიროვნებაზე (ყველას ჯვარი გვწეროთ) მოგონებით გამოვდივართ, აქ მართლაც შეიძლება უკანასკნელ შეხვედრაზე საუბარი დროისა ან ადგილის, ან ორივეს აღნიშვნით; ხოლო როცა ცოცხალ პოლიტიკოსზე ვამბობთ, უკანასკნელ გამოსვლაში შეეხო ამა თუ იმ საკითხსო — ეს, ფაქტობრივად, „დაწყევლა" გამოდის; რასაკვირველია, უნდა ვთქვათ „ბოლო გამოსვლაშიო". ისიც გავიხსენოთ, რომ როცა რიგს ვიკავებთ, „ბოლო ვინ არისო", ვკითხულობთ და არა „უკანასკნელი ვინ არისო".

ერთი სიტყვით „უკანასკნელი" მართლაც უკანასკნელია და აღარ გაგრძელდება, „ბოლო" კი არ გამორიცხავს გაგრძელებასა თუ განმეორებას.

**„დაშავებას"** რაც შეეხება, როცა ვინმე ტრავმირებულია, დაჭრილია, ავარიაშია მოხვედრილი (კვლავ ყველას ჯვარი სწერიაძ, ის დაშავებული ხდება და არა დაზარალებული; ასე რომ, დაზარალებული კი არ მიიყვანეს საავადმყოფოში, როგორც სისტემატურად გვაუწყებენ ტელეჟურნალისტები (რომელთაც არც სხვა ენობრივი ცოდვები აკლიათძ, არამედ დაშავებული. **„დაზარალებულს"** მატერიალურ-ეკონომიკური ზარალის შინაარსი აქვს, „დაშავებულს" — ფიზიკურ-ბიოლოგიური „ზარალისა". გაქურდული თუ გაძარცვული კაცი პოლიციაში ცხადდება როგორც დაზარალებული; ესეც კია, რომ ავარიაში მოხვედრილი, ვთქვათ, ავტომობილის პატრონი დაშავებულიც შეიძლება აღმოჩნდეს და დაზარალებულიც (ავტომანქანა თუ დაუზიანდაძ.

ზიანის ხსენებაზე, მიწისძვრა მოსახლეობას აზარალებს, მაგრამ არ აზიანებს — შენობებს აზიანებს; აზობოქრებულმა მდინარეებმა გზები და ხიდები დააზიანეს; სტიქიამ მოსახლეობას დიდი ზარალი მიაყენა; დაშავებულებს სასწრაფო სამედიცინო დახმარება გაუწიეს...

ამრიგად, „ბოლო" იქნება, „დაზარალებული", „დაზიანებული", „დაშავებული" თუ „უკანასკნელი", ნიუანსების დაცვა-გათვალისწინებით უნდა ვიხმაროთ.

**თამაზ ებანოიძე**

## წარდგენა

# „პეგასმა" ორი საბავშვო წიგნი გამოსცა

**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ფოიეში გამომცემლობა „პეგასმა" საბავშვო წიგნების წარდგენა გამართა.**

„პეგასმა" გამოსცა ორი ახალი საბავშვო წიგნი: ირმა მალაციძის „ონავარი ლუკი დროთა ქვეყანაში" და ჯანი როდარის „გონდოლა-აჩრდილი."

ჯანი როდარის „გონდოლა-აჩრდილი" თეა ნიკობაძემ თარგმნა იტალიურიდან. ეს წიგნი პირველად ითარგმნა ქართულად. ჯანი როდარი ჩვენში ცნობილია წიგნებით: „ჩიპოლინოს თავგადასავალი", „ჯელსომინო ცრუთა ქვეყანაში", „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები", „ლაჟვარდისფერი ისარი", „ფანტაზიის გრამატიკა" და სხვა.

იტალიელი მწერალი 1970 წელს ჰანს ქრისტიან ანდერსენის სახელობის პრემიით დააჯილდოვეს. ჯანი როდარი 1980 წელს მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა.

„ონავარი ლუკი დროთა ქვეყანაში" — სათავგადასავლო წიგნია ცელქ ბიჭზე, რომელიც ჯადოსნურ ქვეყანაში აღმოჩნდება და ბოროტ ჯადოქარს დაამარცხებს. წიგნის ილუსტრატორია მხატვარი ილია ჭრელაშვილი.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ გამომცემლობა „პეგასის" ხელმძღვანელი მარინა ცხადაია, ცნობილი მწერალი დოდო ხიმშიაშვილი, ირმა მალაციძე, მთარგმნელი თეა ნიკობაძე, მუსიკოსი კოტე მალანია, მარიამ წიკლაური. სტუმრების უმრავლესობა ბავშვი იყო.







ირმა მალაციძე საქველმოქმედო პროექტის „ზღაპრები ირმა მალაციძისაგან" ავტორია. 10 ზღაპრის აუდიოკასეტა, რომლის გმირებსაც ახმოვანებენ ცნობილი პოლიტიკოსები, უფასოდ გადაეცა უსინათლო ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს;

იგი საბავშვო ჟურნალ „დილის" მიერ გამოცხადებული კონკურსის პირველი პრემიის მფლობელია;

ირმა მალაციძის საბავშვო პიესა „სატკბილეთის ქვეყანა" 2009 წელს დაიდგა ქუთაისის თოჯინების თეატრის სცენაზე. ირმა მალაციძე არის საბავშვო ლიტერატურის ფონდის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. მას გამოცემული აქვს წიგნები: „სატკბილეთის ქვეყანა" (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2004წ; „ფატია" (გამომცემლობა „სიესტა", 2004წ; „ძერამუჭას სკოლა" (საბავშვო პროზაძ; ვლადიმერ ვისოცკი „ვენური არდადეგები" (თარგმანი, პროზაული კრებული, „სიესტა", 2009წძ, „ონავარი ლუკი დროთა ქვეყანაში" (საბავშვო პროზა, „პეგასი", 2009წ.

**თამარ შაიშმელაშვილი**

№ 34. სამშაბათი, 23 თებერვალი, 2010 წელი.

◎ „საქპატენტი“

***ცოტა ხნის წინათ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტში“ ბრიფინგი გაიმართა, რომლის მიზანი საზოგადოებრიობისთვის იმ საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების გაცნობა იყო, რაზეც ამჟამად თვითდაფინანსებაზე მყოფ ამ ორგანიზაციაში მუშაობენ, რომლის მთავარი ფუნქციაა ინტელექტუალური საკუთრების დაცვა. ჩვენმა გაზეთმა გააშუქა ეს ბრიფინგი, რამაც, თავის მხრივ, საკითხში უფრო ღრმად ჩახედვის სურვილი გამიჩინა და ამიტომ ამ დაწესებულების ახლად დანიშნულ ხელმძღვანელს ირაკლი ღვალაძეს ვესტუმრე.***

# ვიდრე ჩვენს განძს სხვა დაპატრონებია...

**— რა ხდება ისეთი სამსახურში ახალი გენერალური დირექტორის მოსვლის შემდეგ, რაც ადრე არ ხდებოდა, რაში გამოიხატება, თუ შეიძლება ითქვას, ირაკლი ღვალაძის ნოუ-ჰაუ?** — ეს იყო ჩემი პირველი და, თუ არ ვცდები, ერთადერთი კითხვა, რომელიც ახლად დანიშნულ ახალგაზრდა ხელმძღვანელს დავუსვი, საქმეზე კი მან შემდეგ თავისით, დიდი ხალისით ილაპარაკა.

— თავდაპირველად მინდა შევეხო „საქპატენტის“ მოღვაწეობის წმინდა წყლის ფინანსურ მხარეს, — თქვა საუბრის დასაწყისში ბატონმა ირაკლიმ. — დავიწყოთ იმით, რომ „საქპატენტი“ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც საკუთარი შემოსავალი აქვს. ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისიდან და ეგრეთ წოდებული „ქამრების მოჭერის“ პოლიტიკიდან, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტში მაქსიმალურად მეტი თანხის შეტანის სურვილიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ საკუთარი ხარჯის მაქსიმალურად შემცირება. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ „საქპატენტში“ მოხდა შტატების ოპტიმიზაცია, ამ ერთობ უსიამოვნო პროცედურას მე ასე დავარქმევდი. წარმოიდგინეთ: შარშან „საქპატენტში“ ხელფასი 240 კაცზეა გაცემული, რაც ძალიან დიდი რიცხოვნებაა. უნდა გითხრათ, რომ მანამდე ხუთ სამინისტროში ვარ ნამუშევარი და დანამდვილებით ვიცი, რომ ამხელა შტატი არც ერთი მათგანის ცენტრალურ აპარატში არ არის. ერთი თვის განმავლობაში მთელ საშტატო აპარატს გადავხედეთ და შედეგად მხოლოდ ძირითადი ბირთვის შენარჩუნება გადავწყვიტეთ, რომელსაც ჩვენი ექსპერტები, თავიანთი საქმისა და საპატენტო სფეროს ჩინებულად მცოდნე სპეციალისტები შეადგენენ. სადღეისოდ „საქპატენტის“ აპარატში დარჩა 81 კაცი, უმეტესად ექსპერტი და რამდენიმე დამხმარე თანამშრომელი.

ამით „საქპატენტში“ განხორციელებულ საორგანიზაციო ცვლილებებზე ბატონმა ირაკლიმ საუბარი დაასრულა, მე კი, წინამდებარე წერილს რომ ვწერდი, გადავწყვიტე 2007 წელს გამოცემულ წიგნში ჩამეხედა, რომელიც „საქპატენტის“ მოღვაწეობას ეხება და რამდენიმე საგულისხმო განმარტებას გავეცანი. დავიწყოთ იმით, რომ **„ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“... ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე; ეწევა კანონშემოქმედებით მოღვაწეობას; ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების სამართლებრივად უზრუნველყოფის მიზნით ატარებს სახელმწიფო ექსპერტიზას და გასცემს დამცავ დოკუმენტებს; ახდენს საპატენტო ინფორმაციას; ხელს უწყობს ინტელექტუალური საკუთრების კულტურის დამკვიდრებასა და ცოდნის დონის ამაღლებას საზოგადოებაში“.**

ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება იმის გაგებაც, რომ **„ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს გაერთიანების პროცედურასთან დაკავშირებით, „საქპატენტმა“ TRIPS-შეთანხმების მოთხოვნათა გათვალისწინებით მოამზადა და 1999 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო შემდეგი ექვსი სპეციალური კანონი: „საპატენტო კანონი“, რომელიც ეხება გამოგონებებს, სასარგებლო მოდელებსა და სამრეწველო ნიმუშებს; „სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონი“, „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ კანონი“, „ინტეგრალური მიკროსქემების შესახებ კანონი“, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი“, რომელიც ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებათა განხორციელების უზრუნველყოფასთან არის დაკავშირებული“.**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქპატენტის“ მოღვაწეობის არსი იყო და არის გამოგონებებისა და სასარგებლო მოდელების, სამრეწველო ნიმუშების, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების, ასევე საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვა. გარდა ამისა, „საქპატენტის“ საქმიანობა, ცხადია, მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობასაც გულისხმობს. კერძოდ, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში თანამშრომლობის შესახებ საქართველოს უცხო ქვეყნებთან დადებული აქვს მრავალი უწყებათშორისი და სამთავრობათშორისი ხელშეკრულება, რის საფუძველზე „საქპატენტი“ იღებს და ამ ქვეყნების საპატენტო უწყებებს აწვდის სხვადასხვა სახეობის ინფორმაციას.

რაც შეეხება კონკრეტულად ამჟამინდელ საქმიანობას, „საქპატენტს“ სადღეისოდ რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება აქვს განსაზღვრული, რომელთაგან, ბატონ ირაკლი ღვალაძის თქმით, ერთ-ერთი საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე დაახლოებით ასი დასახელების ფართო მოხმარების წამალს ეხება.

— საქმე ის არის, რომ ბოლო დრომდე ჩვენში ერთობ მანკიერი პრაქტიკა იყო დამკვიდრებული, როცა ჯერ კიდევ ყოფილი საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდიდან მოყოლებული, ფართო მოხმარების წამლების ისეთ ცნობილ ბრენდებს, როგორებიცაა, მაგალითად, კორვალოლი, ნო-შპა, ციტრამონი და ა.შ. (ამის შესახებ „სრ“ უკვე წერდა — **ო.ტ.**), რომელიმე ერთი ფარმაცევტული ფირმა არეგისტრირებდა, ბაზარზე ხდებოდა მონოპოლისტი, შემდეგ კი მის გარდა ამ წამლის შემოტანის უფლება სხვას არავის ჰქონდა, — განაგრძო საუბარი ბატონმა ირაკლიმ. — მიმიხვდით, ალბათ, ლაპარაკია იმ წამლებზე, რომლებსაც არც ექიმის დანიშნულება სჭირდება და არც საგანგებო რეცეპტი. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ მათი უმთავრესი მომხმარებლები სოციალურად ნაკლებად დაცული ადამიანები არიან. ამასთან დაკავშირებით პირველი, რასაც შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან ერთად ვაპირებთ, ესაა შევადგინოთ, ასე ვთქვათ, „ტრადიციული“ წამლების ჩამონათვალი, რომელთა შემოტანაზე მონოპოლიას ვერავინ მოიპოვებს, ბაზარზე არც მათი ფასი მოიმატებს და შეიქმნება ჯანსაღი კონკურენტული გარემო. ამ მიმართულებით მოსამზადებელ სამუშაოს სპეციალისტებთან ერთად მალე დავასრულებთ, რადგან არ გვინდა, რომ ფართო მოხმარების რომელიმე წამალი გამოგვრჩეს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემაა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსთან ერთობლივი მუშაობა. ამ შემთხვევაში ლაპარაკია სასაქონლო ნიშნებზე, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, ადგილწარმოშობის დასახელებებზე და ა.შ. უნდა გითხრათ, რომ **მსოფლიოში ცნობილი მრავალი ბრენდი და მისი სასაქონლო ნიშანი საქართველოში დარეგისტრირებულია, მიუხედავად იმისა, იყიდება იგი ჩვენს შიდა ბაზარზე თუ არა.**

გარდა ამისა, ევროკავშირთან ურთიერთობიდან გამომდინარე, ლაპარაკია ასევე პროდუქციის ადგილწარმოშობის დასახელებებზე. **ევროკავშირმა მოგვაწოდა დაახლოებით ოთხი ათასი დასახელება, რომლის გამოყენება ქართულ პროდუქციაზე არ შეიძლება.** მაგალითისთვის ვიტყვი, რომ მათ შორის ყველაზე ცნობილია შამპანური, კონიაკი. საკითხს რომ ჩავუღრმავდით, გავოცდით: იმავე ფრანგებს მარტო ყველის 150-ზე მეტი დასახელება აქვთ დარეგისტრირებული, ჩვენ კი — მხოლოდ 18 საერთაშორისო შეთანხმებით დაცული ადგილწარმოშობის დასახელება! თუმცა ამან, თავის მხრივ, შეკითხვა გაგვიჩინა: კი ბატონო, შამპანური ღვინო საფრანგეთის პროვინცია შამპანიდან არის, ამიტომაც ფრანგები თავისი პროდუქციის ადგილწარმოშობის სახელს უფრთხილდებიან, მაგრამ მაშინ ტრადიციული ქართული ბრენდების საქმე როგორღაა? ამიტომ, სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად გადავწყვიტეთ ჩვენი ტრადიციული პროდუქციის ადგილწარმოშობის სახელების, კერძების, მთელი რიგი სხვა პროდუქციის დარეგისტრირება, რასაც წინ უნდა უძღოდეს სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნა. სადღეისოდ საამისო საფუძველი უკვე მომზადებულია და მას პარლამენტი ახლო მომავალში განიხილავს. ამით **სახელმწიფომ უნდა დააფიქსიროს, რომ ეს არის ტრადიციული ქართული ბრენდები და შემდგომ უნდა მოხდეს მათი სამართლებრივი დაცვა ქვეყნის საზღვრებს გარეთ.**



„საქპატენტის“ მუშაობის მესამე პრიორიტეტია კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან ერთობლივი მუშაობა ხელოვნების სფეროში ქართული ფოლკლორის, ეროვნული ტანსაცმლის, თანამედროვე შემოქმედთა საავტორო უფლებების დაცვის მხრივ, რასაც ახლა დიზაინერთა საავტორო უფლებების რეგისტრირება და, შესაბამისად, დაცვაც დაემატება. ასევე მეტად **მნიშვნელოვანია ქართული ფოლკლორის მემკვიდრეობის — ცეკვის, სიმღერის, რეწვის ნიმუშების და ა.შ. რეგისტრირება, ვინაიდან აქაც სერიოზული პრობლემები იკვეთება: ვიღაც-ვიღაცები უკვე გაიძახიან, რომ ესა და ეს ქართული კი არა, ჩვენიაო.** ამდენად ამ მიმართულებით, დაგეთანხმებით, სერიოზული სამუშაოა ჩასატარებელი.

— ზოგადად რომ გითხრათ, „საქპატენტი“ ახლო მომავალში აუცილებლად გადავა მომსახურების გამარტივებულ, ელექტრონული დეკლარირების სტილზე, — თქვა საუბრის დასასრულ ირაკლი ღვალაძემ. — გარდა ამისა, მთელი რიგი სხვა გეგმებისა გვაქვს, რომელთა შორის ახალგაზრდა სპეციალისტების სტაჟირების ინსტიტუტის დამკვიდრებას გამოვყოფდი. ჩვენთან მრავალი გამოცდილი ასაკოვანი ექსპერტი მუშაობს, ვისაც ღირსეული შეცვლის მომზადება სჭირდება.

სასაქონლო ნიშანს ძალიან დიდი ღირებულება აქვს. ამდენად, როცა ვლაპარაკობთ იმის თაობაზე, რომ ქართულ ბრენდებს აუცილებლად დავარეგისტრირებთ, ამით ჩვენ მათ ახლაც და მომავალშიც დავიცავთ, თანაც, ამავდროულად, არამატერიალურ აქტივებს შევქმნით.

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ დაზღვევა

***მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ნაწილისა და უმწეოთათვის ხელის გასამართად სახელმწიფო წლეულს დაახლოებით 175 ათას ადამიანზე გათვლილ 53 ათას ვაუჩერს გასცემს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უმწეოთა რიცხვი ამაზე გაცილებით მეტია, რომ იტყვიან, ეგეც საქმეა, თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენი საუბარი საკითხის სხვა მხარეს ეხება: ქვეყნის სადაზღვევო ბაზარზე ნახევარ წელზე ოდნავ მეტი ხნის წინათ ახლად გამოჩენილი კომპანია „ალფა“ აღნიშნული ვაუჩერის მფლობელებს თავისსავე დამაარსებელი ფირმა „ავერსის“ აფთიაქებში ასი ლარის მედიკამენტებს უფასოდ შესთავაზებს, ხოლო ექიმის მიერ დანიშნულ ყველა წამალს ნახევარ ფასად მიჰყიდის, რაც ამ ხალხისთვის, თავისთავად, მეტად მნიშვნელოვანი დახმარება იქნება.***

# „ალფას“ ალფა და ომეგა,

## ანუ საჩუქრების ომის მოლოდინში

დაგვეთანხმებით, პატივცემულო მკითხველო, მსხვილი კომპანიის მიერ ერთგვარად მონათესავე, მაგრამ მაინც სხვა სფეროში შვილეული კომპანიის დაარსება საქართველოს ბიზნესსივრცეში ნამდვილად „ახალი ხილია“ და ამან კონკურენტ კომპანიებში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქვეყნის თითოეული მოსახლის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის დაცვაზე დახარჯული თანხის ნახევარი (და, უმეტეს შემთხვევაში, გაცილებით მეტი), სწორედ წამლებზე და არა ნებისმიერი სახეობის კვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებაზე მოდის, „ალფას“ კონკურენტების ვნებათაღელვის მიზეზი მით უფრო გასაგები გახდება.

ეს გარემოება, თავისთავად, იმას მიანიშნებს (და ამას მრავალი საქმეში ჩახედული კაცი იზიარებს), რომ ამ საკითხზე, სათანადო დონეზე, არც არვის უზრუნია და, შესაბამისად, არც რაიმე საგანგებო კვლევა ჩაუტარებია, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან ფინანსურ სახსრებს მოითხოვს. აქედან გამომდინარე, უბრალოდ შეგვიძლია გავიმეოროთ ერთი არცთუ სახალისო გამოთქმა: უნდოდათ, რომ კარგად გამოსვლოდათ, გამოუვიდათ კი ისევე, როგორც ყოველთვის.

უნდა ითქვას, რომ „ალფას“ მიერ ახალი და სხვებთან შედარებით გაცილებით მიმზიდველი მომსახურების შემოტანამ სადაზღვევო ბაზარზე მოღვაწე კომპანიები ააფორიაქა, მის მიმართ აგრესიულად განაწყო და, შეიძლება ითქვას, ობსტრუქცია მოაწყობინა, ვინაიდან კლიენტების — როგორც ნაღდის, ასევე პოტენციურის, დაკარგვის საავსებით საფუძვლიანი ეჭვი გაუჩნდათ.

უნდა ითქვას, რომ საქართველოში მოქმედ სადაზღვევო კომპანიებს შორის „ალფა“, თუ შეიძლება ითქვას, „ყველაზე ნორჩი“ და, მიუხედავად ბოლოდროინდელი მთელი რიგი აქტიური მარკეტინგული აქციისა (კერძოდ, მხედველობაში გვაქვს მის მიერ შარშან, წლის მიწურულს, რვა ათასზე მეტი პედაგოგის დამოუკიდებლად, დამფუძნებელი ფირმისგან რაიმე ხილული დახმარების გაუწევლად დაზღვევა), იგი ნამდვილად არ არის ქვეყნის სადაზღვევო ბაზარზე ყველაზე აგრესიული ფირმა. ხოლო თუ ამ მხრივ ვინმეს შეიძლება უსაყვედუროს კაცმა (მაგრამ რატომ და რისთვის?), ეს, ცხადია, პირველ ყოვლისა, „ალდაგია“, რომლის მარტო ავტომანქანების სავალდებულო დაზღვევის გახსენება რად ღირს! თუმცა ეს იმ დროს გარკვეული პოლიტიკური ინტრიგის ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, თან ამ ძველი ამბის გახსენება დღეს არაფერს შეცვლის, მით უმეტეს, ხეირს არ მოიტანს.

**ამასთან, აუცილებელია „ალფას“ მიმართ ზოგიერთი სადაზღვევო კომპანიის ხელმძღვანელის მიერ გამოთქმული ეჭვი იმის თაობაზე, რომ წამლებით საკუთარი კლიენტების შეღავათიან ფასებში უზრუნველყოფა მათაც შეუძლიათ, ისინი ამისგან თავს იკავებენ, ვინაიდან ამ შემთხვევაში პოტენციურ პაციენტს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების სხვა ვალდებულებები დააკლდება.**

აღნიშნულის გარდა, სადაზღვევო ბიზნესის „კაპიტანთა“ უმრავლესობის აზრით, „ალფას“ მოქმედება ბაზარზე ვითარებას ართულებს, რადგან კონკურენციის შეზღუდვას გულისხმობს, რაც არ შეიძლება სხვა ფირმებს არ აღიზიანებდეს, თანაც ჩვენში სამწუხაროდ, უმოქმედო ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის პრინციპების დარღვევაა. აქვე იმასაც დავსძენთ, თუ რამდენად საჭიროა ქვეყანაში გამართული და კომპეტენტური ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც შესაბამისად გამართულ, დახვეწილ კანონმდებლობაზე დაყრდნობით იმუშავებს, ამას თუნდაც სადღეისოდ სადაზღვევო ბაზარზე შექმნილი დაძაბულობა მეტყველებს.

წელან აღვნიშნეთ, რომ „ალფამ“ მომხმარებლისთვის ახალი პროდუქტის შეთავაზება კომპანია „ავერსის“ ხილული დახმარების გარეშე შესძლო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დიდი მიხვედრა არ სჭირდება იმას, რომ როცა „ალფა“ თავის კლიენტებს „ავერსის“ მედიკამენტებს სთავაზობს, **ამ უკანასკნელის ინტერესია, ყველანი საკუთარი ერთი დიდი აფთიაქის მომხმარებელი გახადოს.** უკვე ითქვა, რომ „ალფადან“ ფული ისევ წამლების წარმოებაში მიიმართება, რაც მის მიერ სადაზღვევო პოლისით ნაკისრ ამბულატორული და სტაციონარული მომსახურების სრული პაკეტის პირობების შესრულებას სათუოს გახდის.

◎ ინფორმაცია თემაში

***მთავრობის მიერ შარშან დიდად გაპიარებულ ეგრეთ წოდებულ ჯანმრთელობის დაცვის ხუთლარიან დაზღვევის პროგრამას, ექსპერტების გათვლებით, ნახევარი მილიონი კაცი უნდა მოეცვა, მაგრამ მისი დაწყებიდან ნახევარ წელზე მეტი ხნის შემდეგ მასში მხოლოდ 40 ათას კაცზე ოდნავ მეტია ჩართული. მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ეს „იაფფასიანი“ პროგრამა სნეულ ადამიანთა წამლით უზრუნველყოფის არც ერთ, თუნდაც მცირედ შეღავათიან ფორმას არ ითვალისწინებს.***

მიუხედავად ამისა, „ალფას“ აგრესიული მარკეტინგული მოქმედების საპასუხოდ სხვა სადაზღვევო კომპანიებიც იძულებულნი არიან, კონტრზომები მიიღონ და საპასუხო ნაბიჯები გადადგან. როგორი იქნება მათი მოქმედების სავარაუდო სცენარი? საყოველთაო აზრით, ეს ძნელი განსაჭვრეტი არ არის: როგორც ჩანს, **ცოტა ხანში ყველანი „საჩუქრების დიდი ბრძოლის“ მოწმენი გავხდებით, როცა კლიენტების მოსაზიდად და, შესაბამისად, საკუთარი პრემიების გასაზრდელად, სადაზღვევო კომპანიები „ფოჩიანი კანფეტების“ შემოთავაზებას დაიწყებენ.**

უნდა ითქვას ისიც, რომ ზოგიერთი ექსპერტი მაინც გამორიცხავს მოვლენათა ამ სცენარით განვითარებას, ვინაიდან ზოგი სხვა ხერხებით აპირებს სასწორის პინების გაწონასწორებას, ზოგს კი, ელემენტარულად, საამისოდ რესურსი არ ეყოფა.

მაშ, რა იქნება რეალურად? დაველოდოთ და თავად ვიხილავთ.

**დავით მერიშვილი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# საქართველო ნამდვილ საზღვარგარეთად აღიარეს

**რუსეთის სტატისტიკური სამმართველოს ახალი შეფასებით, 2008-2009 წლებში რუსეთის შორეულ უცხოეთთან, მიუხედავად წინანდელი შეფასებებისა, ჰქონდა უარყოფითი სამიგრაციო ბალანსი. რუსეთის მიგრაციული ზრდა უცხოელებისთვის კრიზისის დროს – პოლიტიკური სტატისტიკური ეფექტია. საქართველოს დსთ-დან საბოლოო გამოსვლის შემდეგ 2010 წლის დასაწყისში ქვეყანა რუსეთის სტატისტიკური უწყების მიერ ახლო საზღვარგარეთის სიიდან (ყოფილი სსრ კავშირი მინუს ბალტიის ქვეყნები) „შორეული საზღვარგარეთის“ კატეგორიაში გადაიყვანეს – ამან შეცვალა სწორედ ტრენდი შეფასებაში.**

რუსეთის სტატისტიკურმა სამმართველომ იანვრის ცნობაში რუსეთის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ არსებითი ცვლილებები შეიტანა საერთაშორისო მიგრაციის მონაცემებში. თუ 2008-2009 წლების მონაცემებში მიგრაცია შორეული საზღვარგარეთიდან ბალანსის მიხედვით უარყოფითი იყო – 2008 წელს შემცირება როსსტატმა დააფიქსირა 1,7 ათასი კაცით, დაზუსტებულ მონაცემებში შემცირება უკვე აღარ არის. 2008 წელს შორეული უცხოეთის ქვეყნებთან რუსეთში შემოწირვის სამიგრაციო შემოსვლის ზრდა 6,4 ათასი კაცით. ასეთივე (დადებითი) დინამიკა შემოდინების შორეული საზღვარგარეთიდან აღინიშნება 2009 წლისთვისაც – 6,2 ათასი კაცი.

საქმე ის კი არაა, რომ კრიზისის პერიოდში მკვეთრად გაიზარდა რუსეთის მიმზიდველობა გადმოსახლებულებისთვის, როგორც ეს კომენტარებში ამბობენ როსსტატმა. იანვრის მონაცემებში საქართველო პირველად მოხვდა შორეული უცხოეთის ქვეყნების კატეგორიაში. საქართველოს მონაცემებმა სამიგრაციო ზრდაში კარდინალურად შეცვალეს სურათი მიგრანტებთან დაკავშირებით შორეული საზღვარგარეთიდან – მონაცემები გამოყოფილი რესპუბლიკიდან 8-ჯერ აღემატება სტრიქონს „სხვა ქვეყნები“, რომელშიც დაფიქსირდა ყველაზე დიდი ზრდა – 833 კაცი. შესაბამისად, მიგრაციის მონაცემები დსთ-ს ქვეყნებიდან როსბალტმა 2008 წელს გადაიტანა შემცირების მხარეს – სამიგრაციო ზრდის 243 ათასიდან 235 ათას კაცამდე. მონაცემებმა 2009 წლის განმავლობაში აჩვენა სამიგრაციო მატების ზრდა 241 ათას კაცამდე.

ადრე მონაცემები საერთაშორისო მიგრაციის შესახებ საქართველოსა და რუსეთს შორის ირიცხებოდა გრაფაში „დსთ-ს მონაწილე ქვეყნები“. ახალ მასალებში რუსეთის სტატისტიკური სამმართველო შენიშვნებში განმარტავს, რომ საქართველო გამოვიდა დსთ-ს ქვეყნების შემადგენლობიდან 2009 წლის აგვისტოში. სინამდვილეში ეს პროცესი დამთავრდა 2010 წლის 22 იანვარს, როდესაც საქართველომ შეწყვიტა დსთ-ს პარლამენტაშორისი ასამბლეის წევრობა. საქართველოს პარლამენტმა დსთ-ს პარლამენტთაშორის ასამბლეას აცნობა მასში თავისი წევრობის შეწყვეტის შესახებ ნახევარი წლის შემდეგ, პროცედურის შესაბამისად. 2009 წლის 18 აგვისტოს საქართველო გამოვიდა დსთ-ს შემადგენლობიდან, დსთ-ს აღმასკომს აცნობა ამის შესახებ პროცედურის შესაბამისად 12 თვის განმავლობაში.

აღვნიშნავთ, რომ როსსტატს არჩევანი არ გააჩნდა. სტატისტიკური მეთვალყურეობის დოკუმენტებში იშვიათად იხსენიება ტერმინი „დსთ-ს და ბალტიისპირეთის ქვეყნები“, რაც ნიშნავს ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებს. მაგრამ სტატისტიკური ანგარიშგების ოფიციალურ ცნობებში ბალტიისპირეთის ქვეყნები 90-იანი წლების შუა პერიოდიდან მიეკუთვნებიან შორეულ საზღვარგარეთს, ანდა გამოიყოფიან ცალკეულ ჯგუფად – ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, რომლებიც არ შედიან დსთ-ში, განსაკუთრებული ჯგუფი არ არსებობს. ამ დროს საქართველოს ჩართვა შორეული საზღვარგარეთის ქვეყნების რიცხვში, ეტყობა, შეწყვეტს როსსტატის სტრუქტურების ვარაუდს უკანასკნელ აგრეგირებულ მაჩვენებლებზე ყოფილი სსრ კავშირისთვის.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველო, სომხეთისა და აზერბაიჯანისგან განსხვავებით, რუსეთის მიერ ახლა მიეკუთვნება შორეულ საზღვარგარეთს, საქართველოს მთავრობაში მსუბუქ გაოცებას იწვევს. „გაუგებარია, რატომ მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება სწორედ ახლა, როდესაც უკვე ოთხი წელიწადია არსებობს რუსეთის ემბარგო რუსეთში საქართველოს პროდუქციის იმპორტზე“, – განაცხადა სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომელმა ანა მიქელაძემ. – განა შეიძლება არსებობდეს ერთი სტატისტიკა შორეული და მეორე სტატისტიკა – ახლო საზღვარგარეთისთვის?“

ქართველი ეკონომიკური ექსპერტი გიორგი ხუხაშვილი ვარაუდობს: „რუსეთის ეკონომიკური დამოკიდებულება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან უმეტეს შემთხვევაში ემყარება სწორედ პოლიტიკას და არა ეკონომიკას. მოსკოვში ამით კიდევ ერთხელ გვაცნობებენ: ეკონომიკური ურთიერთობანი საქართველოსთან აიგება, როგორც ურთიერთობა რაიმე უცხოსთან და მტრულთან. ეს ქმნის პოლიტიკის გამკაცრების საშიშროებას არა მხოლოდ ქართული პროდუქციის იმპორტთან დაკავშირებით, არამედ საქართველოში ენერგოშემცველების ექსპორტთან დაკავშირებითაც“.

ამასთან ერთად ექსპერტმა აღნიშნა, რომ „სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ისედაც მინიმუმამდეა დაყვანილი. თუ რუსეთს შეეძლებოდა გადაეყვანა საქართველო არა უბრალოდ შორეულ, არამედ „ყველაზე-ყველაზე შორეულ უცხოეთში“, მაშინ ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდებოდა სწორედ ამ უკანასკნელის კატეგორიაში. რუსეთის ფედერაციის სტატისტიკური სამმართველო, უბრალოდ, ასახავს ამ რეალობას“, – მიაჩნია მას.

ცვლილებები არ უნდა ასახულიყო მიგრაციის საერთო სტატისტიკაზე. რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის ოფიციალური მიგრაციული ზრდა 2008 წლის 250 ათასი კაციდან 2009 წელს გაიზარდა 5,3 ათასი კაცით. შარშან ზრდის შემცირება შეინიშნებოდა სამიგრაციო მიმოსვლაში ყაზახეთთან, აზერბაიჯანთან, ყირგიზეთთან, თურქმენეთთან და უზბეკეთთან – ისევე, როგორც საქართველოსთან დაკავშირებით.

**დიმიტრი ბუტრინი, დარია ნიკოლაევა, გიორგი დვალი**

Коммерсантъ

## სააკაშვილმა საფრანგეთის სამხედრო გემის რუსეთისთვის მიყიდვის გეგმები მკაცრად გააკრიტიკა

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მკაცრად დაგმო საფრანგეთის გეგმები რუსეთისთვის სამხედრო გემის მიყიდვასთან დაკავშირებით. ამ გარიგების კრიტიკოსები აცხადებენ, რომ იგი მიუთითებს ზოგიერთი ევროპული ქვეყნის ინტერესების გაცივებას თავისი ამასწინანდელი პროტეჟეს მიმართ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების რიცხვიდან.**

სავარაუდო გაყიდვამ გააფუჭა ურთიერთობანი საქართველოსა და საფრანგეთს შორის. საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი შუამავალი გახდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს, რამაც დაასრულა ხუთდღიანი ომი საქართველოსა და რუსეთს შორის 2008 წლის აგვისტოში.

ბატონმა სააკაშვილმა სამხედრო გემის მიყიდვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს „მეტად არაჩვეულებრივი და მეტად სარისკო გარიგებაა“ და იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც საფრანგეთის „ჯილდო“ მოსკოვისგან იმისთვის, რომ იგი დაბეჯითებით არ მოითხოვდა ცეცხლის შეწყვეტის პირობების სრულ შესრულებას. საქართველო ბრალს სდებს მოსკოვს იმაში, რომ მან არ გამოიყვანა თავისი ჯარები იმ პოზიციებზე, სადაც ისინი იმყოფებოდნენ სამხედრო კონფლიქტის დაწყებამდე, მაგრამ მოსკოვმა ეს ბრალდებანი უარყო.

ერთ-ერთმა ფრანგმა დიპლომატმა უარი განაცხადა კომენტარებზე ამსაკითხთან დაკავშირებით, აღნიშნა მხოლოდ, რომ საფრანგეთს ჯერ კიდევ არ მოუწერია ხელი კონტრაქტისთვის რუსეთთან სამხედრო გემის მიყიდვის შესახებ.

ის ვითარება, რომ მოსკოვმა დაიწყო მოლაპარაკება შვეულმფრენმზიდის შესყიდვის შესახებ, რომელიც წარმოადგენს „მისტრალის“ კლასის ხომალდს წყალწყვით 21.300 მეტრიკული ტონის ოდენობით, მიგვანიშნებს მის მისწრაფებაზე, მოახდინოს თავისი შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია საქართველოსთან კონფლიქტის შემდეგ, რამაც გამოავლინა სამხედრო შეიარაღების ნაკლოვანებები და რაც შეიმჩნეოდა ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში. რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალებს არ ჰყოფნით მისტრალის კლასის ხომალდები, რომლებსაც შეუძლიათ განახორციელონ დესანტის გადასხმის ფართომასშტაბიანი ოპერაციები.

მაგრამ ეს გარიგება იწვევს რუსეთის ზოგიერთი მეზობლის შეშფოთებას და ამან გამოიწვია კიდეც განხეთქილება საფრანგეთსა და მის ზოგიერთ მოკავშირეს შორის. ბატონი სარკოზი ამ გარიგებას მხარს უჭერს. მან განაცხადა: „არ უნდა ველოდოთ, რომ რუსეთი მოიქცევა, როგორც პარტნიორი, თუ ჩვენ არ მოვიქცევით მის მიმართ, როგორც პარტნიორი“. მაგრამ ისეთი ბალტიისპირა სახელმწიფოები, როგორებიცაა ლატვია და ესტონეთი, აღნიშნავენ, რომ ასეთმა დიდმა გარიგებამ სამხედრო ტექნიკის გაყიდვასთან დაკავშირებით შეიძლება გამოიწვიოს ძალთა ბალანსირების დარღვევა რეგიონში. უფრო ადრე ამ თვეში პენტაგონის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების „მეგობრებსა და მოკავშირეებს“ აღმოსავლეთ ევროპაში აქვთ „საკმარისი საფუძველი“ იმისთვის, რომ გამოავლინონ შეშფოთება ამ გარიგებასთან დაკავშირებით.

ამ უზარმაზარ ხომალდს შეუძლია თავის ბორტზე აიყვანოს ტანკები და შვეულმფრენები. „მისტრალის“ კლასის ხომალდებს პერსპექტივაში შეუძლიათ განამტკიცონ მოსკოვის ბატონობა სამხრეთ კავკასიაში, თუ მისი ბაზა იქნება შავი ზღვის აკვატორიაში.

რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალმა ადმირალმა ვლადიმირ ვისოცკიმ შარშან განაცხადა, რომ რუსეთის შავი ზღვის ფლოტში ამგვარი ხომალდის არსებობის შემთხვევაში ომი საქართველოს წინააღმდეგ შეიძლება მოგვეგო „40 წუთის განმავლობაში, და არა 26 საათის განმავლობაში“.

რუსეთმა უკვე განათავსა რამდენიმე ათასი თავისი ჯარისკაცი სამხრეთ ოსეთში, აგრეთვე საქართველოსგან კიდევ ერთ გამოყოფილ რეგიონში – აფხაზეთში, და ამ კვირას მოსკოვმა ხელი მოაწერა კიდევ ერთ შეთანხმებას აფხაზეთში მუდმივი სამხედრო ბაზის შექმნის შესახებ.

როდესაც ლონდონში ჟურნალისტების წინაშე გამოდიოდა, ბატონმა სააკაშვილმა განაცხადა: „თუ რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი მიიღებს ტანკებს, ხომალდებს, რაკეტებს, ესე იგი, ტექნოლოგიას, რის შესყიდვასაც იგი აპირებს, მაშინ ჩვენ აღმოვჩნდებით მეტად სარისკო ზონაში“. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ საქართველომ პარიზთან მოაწყო აზრთა „არაოფიციალური“ გაცვლა-გამოცვლა ხომალდის სავარაუდო გაყიდვასთან დაკავშირებით, თუმცა თავი შეიკავა ოფიციალურ პროტესტთან დაკავშირებით.

საქართველოს პრეზიდენტმა გააკრიტიკა აგრეთვე მოსკოვი მისი განზრახვის გამო, შეისყიდოს ფრანგული ჯავშნიანი მანქანები. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს მანქანები შეიძლება გამოყენებულ იქნეს რუსეთის ნებისმიერი აგრესიის დროს მისი მეზობლების წინააღმდეგ.

საფრანგეთის იმ ფირმის წარმომადგენლები, რომლებიც აწარმოებენ „მისტრალის“ ტიპის ხომალდებს, აცხადებენ, რომ მოლაპარაკება სავარაუდო გარიგების შესახებ საწყის ეტაპზეა. ისინი არ ეთანხმებიან აგრეთვე იმას, რომ ამ გზით ხელს შეუწყობენ რუსეთის თავდაცვითი პოტენციალის განმტკიცებას. მათ აღნიშნეს, რომ ამ ხომალდს საფრანგეთის არმია უპირატესად იყენებს სამშვიდობო ოპერაციების განხორციელების დროს.

თუ გარიგება შედგა, ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც ნატოს წევრი სახელმწიფო დათანხმდება, მიყიდოს მოწინავე სამხედრო ტექნოლოგიები რუსეთს.

ბატონმა სარკოზიმ მოიწონა ერთი ხომალდის მიყიდვა, მაგრამ რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალებმა მოითხოვეს კიდევ სამი ხომალდი, რომლებიც უკვე უნდა აიგოს რუსეთის გემთსაშენებში. საფრანგეთი სწავლობს ამ თხოვნას და ამასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნება რამდენიმე კვირის განმავლობაში.

ბატონმა სააკაშვილმა ასევე გააკრიტიკა საფრანგეთის სათანამგზავრო მაუწყებლობის სახელმწიფო ოპერატორი იმასთან დაკავშირებით, რომ გასულ თვეში მან დაბლოკა თბილისის კონტროლის ქვეშ არსებული ტელეარხი რუსულ ენაზე სახელწოდებით „პირველი კავკასიური“. „მათ ეთერიდან გამოაგდეს ეს ტელეარხი პოლიტიკური მიზეზებით – იმიტომ, რომ მოსკოვს ეს არ მოსწონს“, – აღნიშნა მან. საფრანგეთის სახელმწიფო ოპერატორის სამსახური უარყოფს მოსკოვის მხრიდან რაიმე ზემოქმედებას ამ ტელეარხის ბლოკირების მიღწევასთან დაკავშირებით. დავა საქართველოს სახელმწიფო სამაუწყებლო კომპანიასა და საფრანგეთის აღნიშნულ ფირმას შორის ამჟამად საფრანგეთის ერთ-ერთ სასამართლოში იმყოფება.

THE WALL STREET JOURNAL.

## დედამიწის ზურგზე



**დაღუპულთა რაოდენობამ ჰაიტიზე შეიძლება 300 ათასს გადააჭარბოს**

„თქვენ ნახეთ კადრები, გაიცანით ფოტოგრაფიებს. 200 ათასზე მეტი ცხედარი ქუჩებიდან აკრიფეს, თუ არ ჩავთვლით მათ, ვინც დღემდე ნანგრევებში არის“, – განაცხადა ამ კუნძულოვანი სახელმწიფოს პრეზიდენტმა რენე პრევალმა. ამ დროს პლანეტას კიდევ აზანზარებს ძლიერი მიწისძვრები – მიწისძვრა 5,4 მაგნიტუდით მოხდა კუნძულ ტაივანის სანაპიროზე.

* * *

**პაკისტანში დააპატიმრეს „თალიბანის“ ერთ-ერთი ყველაზე მეტად საძებნი ლიდერი ათიდან**

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, ტერორისტი მაულვ კაბრირი პაკისტანელმა სპეცსამსახურებმა დააკავეს ქალაქ ნაუშერაში. ცნობილია, რომ 90-იან წლებში ავღანეთში თალიბების მართვის დროს კაბირი სათავეში ედგა ნანგარხანის პროვინციას, შემდეგ კი იყო ერთ-ერთი თალიბელი ლიდერი მოქმედი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

* * *

**ისრაელმა სამხედროებმა 35 ულტრამემარჯვენე აქტივისტი დააპატიმრეს**

მთლიანად არასანქციონირებულ აქციაში „მარში იერიხონზე“ მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 60 ისრაელელმა, მათ შორის ქალებმა და მოზარდებმა. ისინი შეიჭრნენ პალესტინის ტერიტორიაზე, იერიხონული სინაგოგის – „ნაარანის“ თავზე აღმართეს ისრაელის დროშა და შეეცადნენ მის ბარიკადირებას.



* * *

**შინნაზარდი ექსტრემისტები ამერიკისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ**

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების მინისტრმა ჯანეტ ნაპოლიკანომ აღიარა, რომ ამჟამინდელი ადმინისტრაციის ერთი წლის განმავლობაში უფრო მეტი ექსტრემისტი გამოვლინდა ქვეყნის შიგნით. მისი სიტყვებით, ქვეყანას მოუწევს ყურადღებით გააანალიზოს, თუ რას მივყავართ საზოგადოებაში რადიკალურ განწყობილებასთან.

* * *

**ერაყში დაიმსხვრა აშშ-ს სამხედრო-საზღვაო შვეულმფრენი: დაიღუპა 2 პილოტი**

ტრაგიკული ინციდენტის მიზეზი გახდა თავად პილოტების შეცდომა, რომლებიც ახორციელებდნენ „მკაცრ დაჯდომას“ სამხედრო ბაზაზე ერაყის ჩრდილოეთით. ოფიციალურ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ შვეულმფრენი ჩამოგდებული არ ყოფილა.



## დიდი ტერორი?

ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?

კოლექტივიზაციის პროცესში მდივნების ძლევამ და ბლოკის სირცოვ-ლომინაძის ბლოკის წარმოქმნამ შეაფიქრიანა სტალინი. ის ძველებურად არავითარ რადიკალურ ზომებს არ იღებდა, იფარგლებოდა მხოლოდ სამხარეო კომიტეტების ერთგვარი ერთეულებით. მათი რაოდენობა 32-მდე გაიზარდა.

უკვე 1933 წელს, როდესაც ცხადი გახდა, რომ ქვეყნის სამრეწველო მოდერნიზაცია, მიუხედავად ყველა სიძნელისა, არ ჩაშლილა, სტალინმა გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯი. მან მოაწყო ფართო პარტიული წმენდის ინიცირება. ის სამი წელი გაგრძელდა, და მისი მსვლელობის დროს გაიწმინდა დაახლოებით სკპ (ბ) ყოველი მესამე წევრი და წევრობის კანდიდატი. წმენდის მიზანი იყო იმ ახალგაზრდა კომუნისტების დაწინაურება, რომლებიც პარტიაში შევიდნენ სამოქალაქო ომის შემდეგ. როგორც „დაუბრუნებელი“, ტროცკიზმისადმი სიმპათიით განწყობილი ა.ორლოვი წერდა, **„წმენდა ციცხლური ბუნდიანობით იყო მიმართული პარტიის ძველი წევრების წინააღმდეგ“. „პარტიულ კომიტეტებს სათავეში ედგნენ, — აღნიშნავდა იგი, — ახალგაზრდები, რომლებიც პარტიაში სულ ახლახან შევიდნენ“.** ეს ახალი კადრები რევოლუციური უკულმართი დროის მცირე გავლენას განიცდიდნენ და მზად იყვნენ გაეზიარებინათ სტალინური ნოვაციები.

მკვლევარები, რომლებიც ტროცკისადმი სიმპათიით არიან განწყობილი, ყველანაირად წუხან პარტიის განახლების პროცესთან დაკავშირებით, ამავე დროს პარადოქსულად სდებენ ბრალს სტალინს ბიუროკრატიზმში, მაგრამ რა არის საინტერესო — მათ ეთანხმებიან ისტორიკოსები, რომლებიც თავიანთ სიმპათიებს გამოხატავენ ეგრეთ წოდებული „მემარჯვენეების“, „ბუხარინელების“ მიმართ. მაგალითად, ა.ა.ავტორხანოვი, ბუხარინის ოპოზიციის ყოფილი წევრი ნაშრომში „ხელისუფლების ტექნოლოგია“ წერს, რომ წმენდის მთავარი მიზანი იყო „მოაზროვნე პარტიის ლიკვიდაცია“. **„ამის მიღწევა შეიძლებოდა, — წერს ავტორხანოვი, — პარტიაში მხოლოდ კრიტიკულად მოაზროვნე ყველა და ყოველგვარი კომუნისტების ლიკვიდაციით. კრიტიკულად მოაზროვნეები კი იყვნენ ისინი, ვინც პარტიაში მოვიდა რევოლუციამდე და რევოლუციის დროს, სამოქალაქო ომამდე და მის დროს“.** ამ გამონათქვამებისადმი სრულიად სოლიდარულია ტროცკის მიმდევარი ისტორიკოსი ვ.ზ.როგოვინი. და ასეთი სოლიდარობა გვაფიქრებინებს: ცხადია, რომ ამ „მემარცხენეებსაც“ და „მემარჯვენეებსაც“ ახასიათებდათ ახალგაზრდა კადრების ერთგვარი ბატონკაცებური, ფსევდოელიტარული მიუღებლობა, რომლებსაც უარი უთხრეს იმ უფლებაზე, ეფიქრათ საერთოდ და, მით უმეტეს, „გაერკვნენ კრიტიკულად“. გამოდიოდა, რომ ფიქრი და აზროვნება შეეძლოთ მხოლოდ სამოქალაქო ომის „ძმირებს“. საინტერესოა მხოლოდ, როდის ისწავლეს მათ ეს? ალბათ, მაშინ, როდესაც დარბოდნენ, როგორც მაიაკოვსკი ამბობდა, **„თავში ლენინით და საგანით ხელში“**, ხვრეტდნენ „ბურჟუებს“ და ანგრევდნენ ეკლესიებს.

სტალინი წმენდას აწარმოებდა თანდათანობით, არ ცდილობდა კადრების ერთბაშად სრულმასშტაბიან განახლებას. ასეთ რევოლუციურობას შეეძლო გამოეწვია ქვეყანაში მხოლოდ მდგომარეობის დესტაბილიზაცია. თავდაპირველად მან ახალი დაწინაურებულებისთვის დაკომპლექტა პარტიული შენობის მნიშვნელოვანი ქვედა სართულები. რიგში იდგა ზედა სართულების განახლება.

ამის შესახებ, მისთვის ჩვეული ფრთხილი მანერით, სტალინმა პარტიის XVII ყრილობაზე (1934 წლის მარტი) განაცხადა. თავის საანგარიშო მოხსენებაში გენერალურმა მდივანმა პარტიისა და ხალხის ხელმძღვანელი მუშაკების ერთგვარი ტიპი ასე დაახასიათა: **„...ესენი არიან ხალხი ცნობილი დამსახურებით წარსულში, ხალხი, ვინც მიიჩნევს, რომ პარტიული და სახელმწიფო კანონები დაწერილია არა მათთვის, არამედ სულელებისთვის. ეს სწორედ ის ხალხია, რომელიც თავის მოვალეობად არ მიიჩნევს პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებას და ასე რიგად ანგრევს პარტიულ-სახელმწიფო დისციპლინას. რისი იმედი აქვთ მათ, როდესაც არღვევენ პარტიულ და საბჭოთა კანონებს? მათ იმედი აქვთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ხელს არ ახლებს მათ ძველი დამსახურებისთვის. ეს გაყოყოჩებული დიდებულები ფიქრობენ, რომ ისინი შეუცვლელები არიან და რომ მათ შეუძლიათ დაუსჯელად დაარღვიონ ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებანი...“**

ამჯერად საუბარი დაიწყო არა უბრალოდ ბიუროკრატებზე, კანცელარისტებზე — თავის მოხსენებაში ისინი ცალკე ჯგუფად გამოყო. მოყვანილ ციტატაში კრიტიკის ქარცეცხლში აღმოჩნდნენ სწორედ მდიდარი რევოლუციური წარსულის მქონე „დიდებულები“ („ძველ დამსახურებათა“ მატარებლები), ვისაც ბრალი დასდეს უმაღლესი ხელმძღვანელობის დაუმორჩილებლობაში. გენერალურმა მდივანმა აგრძნობინა, თუ ვის მიიჩნევს მთავარ მოწინააღმდეგედ. ამ დროს მოხსენებაში ბევრი სხვა მოწინააღმდეგე საერთოდ არ ყოფილა აღნიშნული. სტალინს სიტყვაც არ უთქვამს სხვადასხვა ოპოზიციურ ჯგუფებზე, რომლებიც შეიქმნა 30-იანი წლების დასაწყისში (მხედველობაში გვაქვს სირცოვ-ლომინაძის ბლოკი, **„მარქსისტ-ლენინელთა კავშირი“**, ი.ნ.სმირნოვის ბლოკი, ა.პ.სმირნოვ — ნ.ბ.ეისმინტ — ვ.ნ.ტოლმაჩოვის ბლოკი). „**მემარჯვენე გადახრის**“ ყოფილი ლიდერების შესახებ სტალინმა თქვა, რომ მათ **„დიდი ხანია უარი თქვეს თავიანთ შეხედულებაზე და ახლა ყველანაირად ცდილობენ გამოასწორონ თავიანთი ცოდვეები პარტიის წინაშე“**. „მემარჯვენეებისგან“ განსხვავებით, „მემარცხენე გადახრა“ (ტროცკისტები), რომელიც ბოლომდე არ იყო განადგურებული, გამოაცხადა ასეთსავე სახიფათოდ (სტალინური ლიბერალიზმის მასშტაბები ზოგჯერ პირდაპირ განსაცვიფრებელია. 1934 წლის მაისში ბუხარინმა გამოსცა ნაშრომი „საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიკური პრობლემები“, რომელიც საბაზრო პოზიციიდანაა დაწერილი. სტალინი ამ პოზიციებს კატეგორიულად არ ეთანხმებოდა, მაგრამ არანაირი ორგანიზაციული დასკვნები არ შეუთავაზებია. (ის შემოიფარგლა იმით, რომ პოლიტბიუროში გაგზავნა თავისი კრიტიკული შენიშვნები).




როდესაც შეეხო საგარეო პოლიტიკის საკითხებს, სტალინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირი შეეცდება — იქონიოს მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობანი ყველა ქვეყანასთან, მათ შორის ფაშისტურთანაც.

სტალინის მოხსენება გახლდათ ყველაფერში სიმშვიდის ნიმუში, რაც არ შეეხებოდა ბიუროკრატებსა და დიდებულებს. ასეთივე მშვიდი იყო მისი უახლოესი თანამებრძოლების გამოსვლებიც.

ყრილობის გახსნის დროს თავის გამოსვლაში მოლოტოვს „მემარჯვენეებზე“ სიტყვაც არ დასცდენია. ისინი გაიხსენა მხოლოდ მოხსენებაში სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივების შესახებ, მაგრამ ეს გააკეთა ისეთსავე კონტექსტში, როგორც სტალინმა, როდესაც გადახრის შესახებ ლაპარაკობდა, როგორც რაღაც უკვე საბოლოოდ და შეუქცევად დამთავრებულზე. **„მემარჯვენე გადახრის ლიკვიდატორული არსი, — ამტკიცებდა მოლოტოვი, — და მისი კულაკური სარჩული ბოლშევიკებმა დროულად გამოააშკარავეს“.**

მძვინვარე კაგანოვიჩიც კი საკმაოდ მშვიდად იყო განწყობილი, პარტიის მონოლითურობაზე და მასში რაიმე გადახრების არარსებობაზე მიუთითებდა: **„ჩვენ, ამხანაგებო, ჩვენს გზაზე გაყაყებივით გავსრისეთ ჩვენი პარტიის მტრები — მემარჯვენეებიც და „მემარცხენეებიც“, რომლებიც ხელს უშლიდნენ ჩვენს ამ დიდ მშენებლობას, და ჩვენ მოვედით XVII ყრილობაზე, როგორც არასდროს, ერთიან, მონოლითურ, ლენინურ-სტალინურ პარტიად“.**

პირიქით, ბევრი რეგიონალის გამოსვლა აღსავსე იყო სწორედ იდეოლოგიური მოუთმენლობით, სურვილით — ეძებნათ სხვადასხვა გადახრები და ებრძოლათ მათთან. მაგალითად, ეიხემ ეჭვი გამოთქვა რიკოვისა და ტომსკის მიმართ: **„მე მგონია, ამხანაგებო, რომ XVII ყრილობას შეუძლია და უნდა მოსთხოვოს ამ ამხანაგებს, როგორ გაამართლეს თავიანთი განცხადებები XVI ყრილობაზე“.** მან გუშინდელ „მემარჯვენე გადამხრელების“ გულწრფელობაში ეჭვი შეიტანა.

მკაცრი პოზიცია დაიკავა უკრაინის ლიდერმა კოსიორმა: **„...ბუხარინმა, რიკოვმა, ტომსკიმ, თუმცა კი მოინანიეს XVI ყრილობაზე, მაგრამ მათი პოზიცია XVI ყრილობის შემდეგ შეიძლება დავახასიათოთ ისე, რომ, მონანიების შემდეგ ისინი სულ უკან იმზირებოდნენ — ისე ხომ არ მოხდება ყველაფერი, როგორც მათ უნდათ, მით უმეტეს, რომ პერიოდი სიძნელეებით იყო აღსავსე...“**

ურალელმა პარტიულმა ბოსმა კაბაკოვმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ რიკოვს **„სიტყვაც არ უთქვამს იმის შესახებ, რომ თუ მემარჯვენეების ხაზს მიიღებდნენ, პარტია იდეურად იქნებოდა განიარაღებული და საბჭოთა ხელისუფლება შეწყვეტდა თავის არსეობას. თქვენ კი, ამხანაგო რიკოვო, ეს პირდაპირ და გულახდილად უნდა გეთქვათ აქ, რომ პარტია და ქვეყანა დაღუპვისკენ მიგყავდათ“.**

პოლემიკაში ბუხარინთან და რიკოვთან (მათ გამონათქვამებთან დაკავშირებით 20-იანი წლების ბოლოს) გამოვიდა პოსტიშევი. „მემარჯვენეების“ ძველ ცოდვებზე მიუთითა ახალმა პოლიტიკურმა ვარსკვლავმაც სსრ კავშირის პოლიტიკურ ცისკიდურზე — მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ.ს.ხრუშჩოვმა.

მაგრამ „მემარჯვენეებს“ ყველაზე მწვავედ თავს დაესხა კიროვი, რომელმაც თავისი გამოსვლის თითქმის ყველაზე მეტი ნაწილი მიუძღვნა მეალალეების კრიტიკას „მემარჯვენე“ ოპოზიციიდან. ლენინგრადის პარტიულმა ბოსმა დახატა ნათელი, პოეტური სურათი, როდესაც პარტია შემტევ არმიას შეადარა, ოპოზიციონერები — მაიმუნებს, რომლებიც თავად არმიის უკან იყვნენ. და როდესაც არმია, ბოლოს და ბოლოს, იმარჯვებს, მაიმუნები **„გამოდიან, ცდილობენ ჩაერთონ ამ საერთო ზეიმში, ფეხი აუწყონ პარტიას, საერთო მუსიკით, მხარს უჭერენ ამ ჩვენს აღმასვლას“. „მაგრამ, — ფხიზლად შენიშნავს „მირონიჩი“, — როგორც უნდა ეცადონ, არაფერი გამოსდით. აი, აიღეთ ბუხარინი, მაგალითად, რომელიც, ჩემი აზრით, თითქოს ხმას უწყობდა პარტიას, მაგრამ ეს სულ სხვა ხმა იყო... უკვე აღარ ვლაპარაკობ ამხანაგ რიკოვზე, ამხანაგ ტომსკიზე“.**

სხვათა შორის, ეს ტენდენცია აისახა ჯერ კიდევ წინა XVI ყრილობაზე (1930 წელი). სტალინი მაშინაც ფრთხილი „ლიბერალის“ პოზიციიდან გამოდიოდა.

რასაკვირველია, ყრილობაზე თავის პოლიტიკურ მოხსენებაში სტალინმა მკაცრად გააკრიტიკა მემარჯვენეები. გადახრა მხოლოდ ის-ის იყო გაანადგურეს, და დროული იყო სათანადო სიმკაცრის გამოჩენა. რამდენიმე მწვავე შენიშვნა „მემარჯვენეების“ მიმართ სტალინმა გააკეთა, როდესაც ეკონომიკურ საკითხებს შეეხებოდა. განყოფილებაში კი „შინაპარტიული საქმეების ხელმძღვანელობის საკითხები“ ის უკვე სპეციალურად შეჩერდა „მემარჯვენე გადახრაზე“. მაგრამ აი რა არის საინტერესო — თავისი მოხსენების ამ ნაწილის ჩარჩოებშიც კი სტალინმა მეტი ყურადღება დაუთმო ტროცკიზმის კრიტიკას. ტროცკიზმის საკითხს საერთოდ ის განიხილავდა „მემარჯვენე ოპორტუნიზმის“ საკითხზე ადრე.

სტალინი აკრიტიკებდა ბუხარინელებს ძველი ცოდვებისთვის, მაგრამ არ გამოუთქვამს არავითარი ეჭვი მათ მიმართ. ის სახიფათოდ აცხადებდა არა იმდენად თავად მემარჯვენეებს, რამდენადაც იმ პირობებს, რომლებსაც მივყავართ „მემარჯვენე გადახრის“ წარმოქმნასთან. **„მემარჯვენე გადახრის“ ლიდერებმა, — აღნიშნავდა იოსებ სტალინი, — ღიად აღიარეს თავიანთი შეცდომები და მოახდინეს კაპიტულაცია პარტიის წინაშე. მაგრამ სისულელე იქნებოდა, გვეფიქრა, რომ მემარჯვენე გადახრა უკვე დასამარებულია. მემარჯვენე ოპორტუნიზმის ძალა ამ ვითარებით როდი განიზომება. მემარჯვენე უკლონიზმის ძალა მის ვიწრობურჟუაზიულ სტიქიაშია, პარტიაზე ზემოქმედების ძალაშია კაპიტალისტური ელემენტების მხრიდან საერთოდ, კულაკობის მხრიდან განსაკუთრებით“.** სოციალისტური რეკონსტრუქციის წინააღმდეგობად გამოცხადდა — ძველი ბურჟუაზიული ინტელიგენციის ზედა ფენები, კულაკობა და ბიუროკრატია (უწინარეს ყოვლისა ახალი, საბჭოთა). ანტისოციალისტურ ძალათა რიცხვში „მემარჯვენეები“ არ დასახელებულან. უფრო მეტიც, სტალინმა ბუხარინისეულ ფორმულას კაპიტალისტური ელემენტების სოციალიზმში შეზრდის შესახებ „ბავშვური“ უწოდა, რითაც, ფაქტობრივად, მოუხსნა ბუხარინს ანტისოვეტიზმისა და კონტრრევოლუციონერობის ყველა ბრალდება.

პირიქით, სამხარეო კომიტეტების მდივნების გამოსვლები აღსავსე იყო საბრალდებლო პათოსით. ისინი არა მხოლოდ აკრიტიკებდნენ „მემარჯვენე გადახრის“ ლიდერების ყოფილ შეცდომებს, არამედ ფარულ ოპოზიციონურობაშიც სდებდნენ ბრალს. ამ თვალსაზრისით მეტად თვალსაჩინოა შებოლდაევის გამოსვლა, რომელიც მთლიანად, თავიდან ბოლომდე, „მემარჯვენე გადახრას“ ეძღვნებოდა. მან განაცხადა იმის შესახებ, რომ მასთან, ვოლგის ქვედა დინებაში გამოააშკარავდა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელიც ბუხარინის მომხრეებისგან შედგებოდა. ისინი თითქოს არ გამორიცხავდნენ შეიარაღებული აჯანყების შესაძლებლობას. ეს უკვე იყო რეპრესიებისკენ ღია მოწოდება.

სტალინიც, რასაკვირველია, დიდად არ ენდობოდა „მემარჯვენეებს“ — არც თუ უსაფუძვლოდ (საუბარი ამის შესახებ ჯერ კიდევ წინა გვაქვს). მაგრამ მან იცოდა, რომ მათი მოკვეთა პარტიისგან იქნებოდა დასაწყისი სამოქალაქო ომისა, რომელიც უნახავ პოლიტიკურ რჩევებთან მიგვიყვანდა. მას რომ ნება მიეცა უტიფარი მდივნებისთვის, ისინი დაიწყებდნენ „დიდ ტერორს“ უკვე 30-იანი წლების დასაწყისში — ვითარება, რომელიც კოლექტივიზაციის მსვლელობის დროს ჩამოყალიბდა, ამისთვის საკმაოდ ხელსაყრელი იყო. მაგრამ სტალინს ეს არ სჭირდებოდა. მას იმედი ჰქონდა, რომ მაინც შეძლებდა ყოფილი ოპოზიციონერების ჩართვას შემოქმედებით შრომაში, მათი უტყუარი ნიჭის გამოყენებას. და სავსებით შესაძლებელია, რომ ის ამას შეძლებდა, რომ არა რევოლუციური ისტერიკები, რომლებსაც წარამარა შემოაგდებდნენ ხოლმე სხვადასხვა ჯურის შებოლდაევები. თუმცა „ყოფილი“ ოპოზიციონერებიც კარგები აღმოჩნდნენ. მათ მაინც ვერ მოთოკეს თავიანთი სიამაყე და სწყუროდათ კვლავ დაეკავებინათ წამყვანი პოზიციები (ამის შესახებაც იქნება კიდევ საუბარი ქვემოთ). აი ასე, რეგიონალების რევოლუციური ზერწმენისა და ბუხარინელების დაუდევრობისგან გამოიჩეკა, როგორც კვერცხიდან, „დიდი ტერორის“ ურჩხული...

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 14-33.

**ვანკუვერი – 2010**

# ოლიმპიადის ტაბლო



**ტრამპლინიდან ხტომა. K-125.**
1. სიმონ ამანი (შვეიცარია), 2. ადამ მალიში (პოლონეთი), 3. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია).

**სკელეტონი. ქალები.**
1. ემი უილიამსი (ბრიტანეთი), 2. კერსტინ შიმკოვიაკი (გერმანია), 3. ანია ჰუბერი (გერმანია). **კაცები.** 1. ჯონ. მონტგომერი (კანადა), 2. მარტინს დოკურსი (ლატვია), 3. ალექსანდრ ტრეტიაკოვი (რუსეთი).

**ციგურებით რბენა, 1500 მ. მამაკაცები**
1. მარკ ტიუტერტი (ჰოლანდია), 2. შენი დევისი (აშშ), 3. ჰავარდ ბოკო (ნორვეგია).

**თხილამურებით გამოდევნებით რბოლა. ქალები.** 15 კმ.
1. მარიტ ბიორგენი (ნორვეგია), 2. ანა ჰააგი (შვედეთი), 3. იუსტინა კოვალჩიკი (პოლონეთი). **კაცები.** 30 კმ. 1. მარკუს ჰელნერი (შვედეთი), 2. ტობიას ანგერერი (გერმანია), 3. იოჰან ოლსონი (შვედეთი).

**შორტ-ტრეკი. ქალები. 1500 მ.**
1. იან ჟოუ (ჩინეთი), 2. იუნ-ბიუნ ლი (კორეა), 3. სიუნ ჰი პაკი (კორეა). **კაცები.** 1000 მ. 1. იუნ-სუ ლი (კორეა), 2. ჰო-სუკ ლი (კორეა), 3. აპოლო ანტონ ონო (აშშ).



**ფრისტაილი. აკრობატიკა. ქალები**
1. ალა ცუპერი (ბელარუსი), 2. ნინ ნა ლი (ჩინეთი), 3. სინ სინ გო (ჩინეთი).

**ბობსლეი, ორადგილიანი. მამაკაცები**
1. გერმანია – 1 (ანდრე ლანგე, კევინ კუშკე), 2. გერმანია–2 (ტომას ფლორშუტცე, რიჩარდ აჯეი), 3. რუსეთი-1 (ალექსანდრ ზუბკოვი, ალექსეი ვოევოდა).

**ციგურებით რბენა. 1500 მ. ქალები**
1. ირენ ვიუსტი (ჰოლანდია), 2. კრისტინა გროვსი (კანადა), 3. მარტინა საბლიკოვა (ჩეხეთი).

**ბიატლონი. მას-სტარტი. 12,5 კმ. ქალები.**
1. მაგდალენა ნოინერი (გერმანია), 2. ოლგა ზაიცევა (რუსეთი), 3. სიმონე ჰაუსვალდი (გერმანია).

**მას-სტარტი. 15 კმ. მამაკაცები.**
1. ევგენი უსტიუგოვი (რუსეთი), 2. მარტენ ფურკადი (საფრანგეთი), 3. პავოლ ჰურაიტი (სლოვაკეთი).

**ფრისტაილი. კროსი. მამაკაცები.**
1. მიხაელ შმიდი (შვეიცარია), 2. ანდრეას მეტი (ავსტრია), 3. აუდუნ გროენვოლდი (ნორვეგია).

**სამთო-სათხილამურო სპორტი. სუპერკომბინაცია. სლალომი. მამაკაცები.**
1. ბოდე მილერი (აშშ), 2. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატეთი), 3. სილვან ცურბრიგენი (შვეიცარია).

**ჰოკეი. I ჯგუფური ეტაპი. მამაკაცები.**
რუსეთი – ჩეხეთი 4:2, აშშ – კანადა 5:3, შვედეთი – ფინეთი 3:0.

**საერთო გუნდური ჩათვლა (მედლები)**

| ქვეყანა | ო. | ვ. | ბ. | სულ |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 7 | 7 | 10 | 24 |
| გერმანია | 6 | 7 | 5 | 18 |
| ნორვეგია | 5 | 3 | 4 | 12 |
| შვეიცარია | 5 | 0 | 2 | 7 |
| კანადა | 4 | 4 | 1 | 9 |
| კორეა | 4 | 4 | 1 | 9 |
| შვედეთი | 3 | 1 | 2 | 6 |
| ჩინეთი | 3 | 1 | 1 | 5 |
| ჰოლანდია | 3 | 1 | 1 | 5 |
| ავსტრია | 2 | 3 | 3 | 8 |
| რუსეთი | 2 | 3 | 3 | 8 |

**ფეხბურთი**

# აქეთურ–იქითური

**მიდიან კლუბებისა და გუნდების თავკაცები, ფეხბურთელებიც, მათ შორის ლეგიონერები, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – „ვიტ ჯორჯია“ თბილისის „დინამოსთვის“ ისევ დაუძლეველი წინაღობაა.**

ეს რომ ასეა, ეროვნული ჩემპიონატის მორიგ ტურშიც დადასტურდა, როცა ვეტერინარებმა ბორის პაიჭაძის სტადიონზე თამაშის სწორი ორგანიზაციით პირწმინდად დაჯაბნეს პრინციპული მეტოქე და 2:1 გაიმარჯვეს (ბერიაშვილი, ჯანელიძე; კაშია – პენალტით).



„თეთრ-ლურჯები“, მოგეხსენებათ, ყოველთვის უმაღლეს მიზნებს ისახავენ, მით უმეტეს – საშინაო ფრონტზე, მაგრამ თუ მისმა მესვეურებმა ახლახან სერბეთის ქალაქ ნოვი-სადის „ვოივოდინაში“ გადაბარგებული მერებაშვილის სრულფასოვან შემცვლელს სასწრაფოდ არ მიაგნეს, ადვილი შესაძლებელია, ევროტურნირებს მიღმა დარჩნენ.

გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს რუსთავის „ოლიმპს“ ფიცხელი ბრძოლა გაუმართა „გაგრამ“, რომელმაც შესვენებამდე რამდენიმე ხელსაყრელი მომენტიც გაფლანგა, მაგრამ მეორე ტაიმში სტუმართა კლასი მაინც გადამწყვეტი აღმოჩნდა 2:0 (იმედაშვილი, ჭედია).

**დანარჩენი შედეგები:** „სიონი“ – „ზესტაფონი“ 0:1, „ცხინვალი“ – „ლოკომოტივი“ 1:1, „სამტრედია“ – „ბაია“ 0:1.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ოლიმპი“ – 51, „ზესტაფონი“ – 48, „დინამო“ – 38, „ვიტ ჯორჯია“ – 37, „ცხინვალი“ – 27, „სამტრედია“ – 22, „ბაია“ – 16, „სიონი“ – 15, „გაგრა“ – 14, „ლოკომოტივი“ – 12 ქულა.

* * *

**იტალია.** „ინტერი“ – „სამპდორია“ 0:0, „რომა“ – „კატანია“ 1:0, „ბარი“ – „მილანი“ 0:2, „ბოლონია“ – „იუვენტუსი“ 1:2, „ფიორენტინა“ – „ლივორნო“ 2:1.

**ესპანეთი.** „ბარსელონა“ – „რასინგი“ 4:0, „რეალი“ – „ვილიარეალი“ 6:2, „მალიორკა“ – „სევილია“ 1:3, „ალმერია“ – „ატლეტიკო“ 1:0, „დეპორტივო“ – „ხერესი“ 2:1.

**ინგლისი.** „ვულვზი“ – „ჩელსი“ 0:2, „ევერტონი“ – „მანჩესტერი“ 3:1, „არსენალი“ – „სანდერლენდი“ 2:0, „სიტი“ – „ლივერპული“ 0:0, „უიგანი“ – „ტოტენჰემი“ 0:3.

**გერმანია.** „ვერდერი“ – „ლევერკუზენი“ 2:2, „ნიურნბერგი“ – „ბაიერნი“ 1:1, „ვოლფსბურგი“ – „შალკე“ 2:1, „ჰამბურგი“ – „აინტრახტი“ 0:0, „ბორუსია“ – „ჰანოვერი“ 4:1.

**საფრანგეთი.** „სენტ ეტიენი“ – „მონპელიე“ 1:0, „რენი“ – „ლილი“ 1:2, „სოშო“ – „ლიონი“ 0:4, „მარსელი“ – „ნანსი“ 3:1. გადაიდო „ბორდო“ – „ოსერის“ მატჩი.

**ძიუდო**

## კვარცხლბეკზე – მხოლოდ ხანჯალიაშვილი



**გასულ უქმეებზე დიუსელდორფმა ძიუდოისტთა მსოფლიო თასის გათამაშებას უმასპინძლა. შეჯიბრებაში სხვადასხვა ქვეყნის უძლიერეს ფალავნებთან ერთად საქართველოს 13 წარმომადგენელი მონაწილეობდა ნაკრების მთავარი მწვრთნელის ამირან ტოტიკაშვილის ხელმძღვანელობით. მათგან მხოლოდ მძიმეწონოსანმა ზვიად ხანჯალიაშვილმა მოახერხა კვარცხლბეკზე ასვლა. ნახევარფინალში იგი ეგვიპტელ ისლამ ელ შეჰაბისთან დამარცხდა, რომელმაც მეოთხედფინალში ლაშა გუჯეჯიანსაც სძლია. ეგვიპტელმა გადამწყვეტ შეხვედრაში იაპონელ ქეიჯი სუძუკისაც აჯობა და პირველი ადგილი დაიკავა.**

მსოფლიოს თასის გათამაშებას ადრეულ ეტაპებზე გამოეთიშნენ ნესტორ ხერგიანი, ბეთქილ შუკვანი (ორივე – 60 კგ), შალვა ქარდავა, მიხეილ ხომიზური (66), თენგიზ პაპოშვილი, ამბაკო ავალიანი (73), იოსებ წელაური (81), საბა გავაშელიშვილი, ვარლამ ლიპარტელიანი (90), დავით ლორიაშვილი და ზურაბ ზვიადაური (100).

საგულისხმოა, რომ 60 კილოში პირველი ადგილი დაიკავა უკრაინის სახელით მოასპარეზე გიორგი ზანთარაიამ, რომელმაც ფინალში იაპონელ ჰიროაკი ჰირაოკას აჯობა.

**კალათბურთი**

## დაცინვას ჯაცი არ მოუყვლავს



**როცა სუპერლიგამ კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩებიდან „სოხუმისა“ და სამედიცინო აკადემიის ჭაბუკთა ბრძოლა გამოარჩია და როგორც დღის ცენტრალური დუელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით მისი პირდაპირი რეპორტაჟი შემოგვთავაზა, ბევრმა ირონიულად ჩაიღიმა – აქაოდა, რომელი ელიტური კლუბები ესენი არიანო, მაგრამ...**

ნავსიან XIII ტურში ყველაზე თვალსასეირო სწორედ აღნიშნული წყვილის შეხვედრა გამოდგა. მოგეხსენებათ, ზღვისპირელთა დამრტყმელ ძალას ძველი გვარდიის წარმომადგენლები ბერიშვილი, სორდია და კანკია წარმოადგენენ. სწორედ მათი ძალისხმევით მოიპოვეს სოხუმელებმა მეხუთე გამარჯვება – 65:62. დავძენთ, რომ მათმა თავკაცმა ვაჟა კვარაცხელიამ მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ გუნდი დატოვა და ამჟამად მოთამაშე-მწვრთნელის ფუნქციებს ბუბა ბერიშვილი ასრულებს.

**დანარჩენი შედეგები:** „ენერჯი ინვესტი“ – თსუ 91:63, შსს – „ჭიათურა“ 98:68, საუ – „დინამო“ 114:95. ისვენებდა, „ბათუმი“.

**ინტერნეტიდან**

## „მშრალი კანონი“ – ოლიმპიადაზე

**ვინაიდან ვანკუვერის ქუჩები სავსეა მთვრალებით, ამიტომ ოლიმპიური თამაშების დედაქალაქში შაბათიდან გამოცხადდა ანტიალკჰოლური კამპანია. რათა აღკვეთონ ქუჩებში ლოთობა, ალკოჰოლური სასმელებით მოვაჭრე მაღაზიებს შეუმცირეს სამუშაო დღე 19 საათამდე. რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია განსაკუთრებით ჩასულ სტუმრებში და თავად კანადელებშიც.**

„ეს კანონი შემოღებულია ვანკუვერის ქუჩებში მთვრალების უპრეცედენტო რაოდენობის გამო, – აცხადებს ერთ-ერთი ჩინოვნიკი, – ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“.

კიდევ კარგი, ეს კანონი არ ვრცელდება ბარებსა და რესტორნებზე, თორემ დაცვის დაყენება გახდებოდა საჭირო.



ასეთი ზომების მიღება საჭირო გახდა პარასკევს ვანკუვერის ცენტრში მუსიკალურ ფესტივალზე მასობრივი ღრეობის შემდეგ. პოლიციელების განცხადებით, ხალხი შეჯიბრებებზე ლოთობისთვის კი არა, გასართობად უნდა დადიოდეს.

## ტოპალოვი წინ გაიჭრა

**დიდი უპირატესობით ლიდერობს ბულგარელი დიდოსტატი, მსოფლიო ექს-ჩემპიონი ვესელინ ტოპალოვი 7 ტურის შემდეგ ლინარესის 21-ე კატეგორიის საერთაშორისო საჭადრაკო სუპერტურნირზე. მას 7 შესაძლებლიდან 5 ქულა აქვს. მისი თამაში დიდი რისკით გამოირჩევა. სწორედ ასე მოიგო ზედიზედ ორი პარტია, თავი დააღწია რა თითქმის დამარცხებას.**

აი, თუნდაც მეექვსე ტურის პარტია ფრანსისკო ვალეხოსთან: ბულგარელმა ის რაღაც პასიურად დაიწყო, მისი ყველა ფიგურა თავისივე ბანაკში გამოკეტილი აღმოჩნდა, მეფეს კი შამათი ემუქრებოდა. ესპანელს მხოლოდ გრძელი როქის გაკეთება და ეტლით თამაში სჭირდებოდა, მაგრამ ტოპალოვმა გარისკა და ისე „აურია“ თამაში, რომ ისევე როგორც წინა პარტიაში რუსეთელი გრიშჩუკი, ესპანელიც მწვავე ცაიტნოტში მოხვდა, შეცდომები დაუშვა და დამარცხდა კიდეც.

მეექვსე ტურში ყაიმზე შეთანხმდნენ გრიშჩუკ-არონიანი, გაშიმოვ-გელფანდი. მეშვიდე ტურის ყველა პარტიაც ყაიმით დამთავრდა – დაზავდნენ გელფანდ-გრიშჩუკი, გაშიმოვ-ტოპალოვი, არონიან-ვალეხო.

7 ტურის შემდეგ, ტოპალოვს 5 ქულა აქვს, გრიშჩუკს, არონიანს, გაშიმოვს – 3,5-3,5, გელფანდს – 3, ვალეხოს – 2,5.

ტურნირის დამთავრებამდე ორი ტურილა დარჩა.

## ლამაზმანებით გამოირჩევა

**ბრიტანელი მეცნიერების გამოკვლევებს თუ დავუჯერებთ, ყველაზე მიმზიდველი ბიუსტები აქვთ ლივერპულელ ლამაზმანებს. ასევე ხუთიდან ოთხმა მამაკაცმა განაცხადა, რომ განასხვავებს ნატურალურ მკერდს – იმპლანტატიურისგან. ქალთა 70 პროცენტმა კი აღიარა, რომ უფრო დიდ მკერდზე ფიქრობს.**

„ლივერპულის“ ფეხბურთელთა ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული თაყვანისმცემელია რეალიტ-შოუს „დიდი ძმის“ ვარსკვლავი, მოდელი სოფი რიდი, თავის თაყვანისმცემლებს პიკანტური ფოტოსესიებით რომ ახარებს. თავის მკერდზე რომ ლაპარაკობდა, მოდელმა ერთხელ შენიშნა: „ის ძალზე მასიურია, ძალზე ბედნიერი ვიქნებოდი, თუ კი ის კიდევ გაიზრდებოდა! მინდა, მქონდეს მსოფლიოში ყველაზე დიდი მკერდი!“



ამ ლამაზმანის ფოტოსურათებს თუ დავაკვირდებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორად იქცევიან ის ფეხბურთელები, ლივერპულს რომ ტოვებენ, აბა, ასეთი მკერდის შემხედვარე, ფეხბურთისთვის როგორღა მოიცლიან?!

◉ თქვენთვის, ცნობისმოყვარენო!

# სამყაროს დასასრულს შეგვატყობინებენ?!

**მაინც როგორ შეიქმნა აზრი მომავალი კატასტროფის შესახებ? უმთავრესად ფიქრობენ, რომ ის წარმოიშვა უძველესი ინდიელების ტომის — მაიას წიგნებისა და კალენდრის გაშიფვრის შედეგად. ის კალენდარი კი 2012 წლის 21 დეკემბრით მთავრდება.**

მაიას ტომი მრავალი საუკუნის წინათ ცხოვრობდა ცენტრალურ ამერიკაში იუკატანის ნახევარკუნძულზე, აგრეთვე გვატემალისა და ჰონდურასის მთებში. ამბობენ, მათ ძალიან უყვარდათ სამყაროს დასასრულის წინასწარმეტყველებაო, მაგრამ რატომღაც ყველაზე ადრე თვითონ გაქრნენ. თუმცა იქამდე გასაოცარი ცივილიზაცია შექმნეს.

რასაკვირველია, ყველას აოცებს, თუ რატომ მთავრდება მაიას კალენდარი 2012 წლით. ახლა ასეთი ანეკდოტიც კი აგორდა — სწორედ ამ დროისთვის ინდიელებს მელანი გაუთავდათო, მაგრამ მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ამ კალენდრის მიხედვით მთავრდება ერთი ეპოქა — მეხუთე მზის ეპოქა. და ისევ, როგორც მას წინ უძღვოდა პირველიდან მეოთხემდე მზის ეპოქები, ასევე უნდა მოჰყვეს მეექვსე და სხვა ეპოქებიც. იმასაც ამბობენ, რომ ისევე, როგორც არ შეიძლება დამთავრდეს არითმეტიკული მიმატების ან გამრავლების წესები, ისევე არ მთავრდება კალენდრული ეპოქები.

იმასაც ამბობენ, რომ მთავარია, როგორ გაშიფრავთ მაიას ხალხის წიგნებს, რომელთა საერთო სათაურია „ჩილამ ბალამ", რაც ნიშნავს „წინასწარმეტყველი ბალამის წიგნები". ისინი დაწერილია განსაკუთრებულ ენაზე, „სუივა ტან" — „საიდუმლო ენაზე", რაც სავსეა რებუსებითა და შარადებით.

სწორედ ამ წიგნებში თითქოს ამოიკითხეს, რომ „მოულოდნელად წამოვა თქეში... და ცა დაემხობა დედამიწაზე, როცა ოთხი ღმერთი, ოთხი ბაკაბა დაემხობა მათ". ყოველივე ეს კი უნდა მოხდეს 4-ახაუ 3-კანკინზე, რაც შეესაბამება 2012 წლის 21 დეკემბერს. თუმცა, როგორც სწავლულებს მიაჩნიათ, ამ წინასწარმეტყველების დაჯერება შეუძლებელია, რადგან მასში იმდენი გამოცანა და ქარაგმაა, რომ ნოსტრადამუსსაც არ დაესიზმრებოდაო.

თანაც ზოგიერთი სწავლული „ცის დამხობაში" კატასტროფას, განადგურებას კი არ ხედავს, არამედ მოულოდნელ აღმოჩენას, გამონათებას, არა სამყაროს დასასრულს, არამედ მზის ამოსვლას.

და ხალხს მაინც სწორედ მზით აშინებენ. ვითომდა მოსალოდნელ გლობალურ კატასტროფას ჰოლივუდმა ორი ფილმიც კი მიუძღვნა — „2012" და „ზეციური სასწაული".

პირველ თრილერში უზომოდ განრისხებული მზიდან წამოსული პლაზმა მთელ დედამიწას ანადგურებს. მეორეში კი პროვოცირებულია დამანგრეველი პროცესები წიაღში. პირველში საქმე მიდის სამყაროს სრულ განადგურებამდე — გამონაკლისის გარეშე (მაშინ ვერც ჰოლივუდი გადარჩებოდა), მეორეში კი სამყარო ნაწილობრივ ინგრევა.

კინოსთრილერებისგან განსხვავებით, სერიოზული მეცნიერების პროგნოზები ასე კოშმარული არაა, მაგრამ ვერც ისინი გვახარებენ.

შეგახსენებთ, რომ შარშან საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა ამერიკის მეცნიერებათა აკადემიის (NAS) მიერ მომზადებული უსაშინელესი მოხსენება „კოსმიური ამინდის მუქარები. სოციალური და ეკონომიკური შედეგები". მისი ავტორები არიან აკადემიის სპეციალისტები — მზის აქტიურობას რომ შეისწავლიან. სწორედ ისინი მოელიან მზისგან გლობალურ კატასტროფებს — ანუ სამყაროს დასასრულს. სწავლულები გვემუქრებიან, რომ მთელ პლანეტაზე აღარ იქნება სინათლე, ამის მიზეზი კი იქნება უჩვეულო ძალის მაგნიტური ქარიშხლები, რასაც გამოიწვევს კოლოსალური აფეთქებები მზეზე, ეგრეთ წოდებული კორონალური გამონატყორცნებით.

მზის მოულოდნელი შტორმის შედეგები შეიძლება შევადაროთ ბირთვული ომის ან დედამიწაზე გიგანტური ასტეროიდის დაცემის შედეგებს, — ამბობს პროფესორი **დანიელ ბეკერი,** კოლორადოს უნივერსიტეტის კოსმოსური ამინდის ექსპერტი და NAS-ას კომიტეტის თავკაცი, მოხსენების მომზადებას რომ ხელმძღვანელობდა. როგორც სპეციალისტები წინასწარმეტყველებენ, მზეზე აფეთქების შედეგად დედამიწის ელექტრომაგნიტური ველის შეცვლის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ 90 წამში დაიწვება 300 ძირითადი ტრანსფორმატორი. და ელექტროენერგიის გარეშე დარჩება 130 მილიონზე მეტი ადამიანი, რადგან კონტინენტებზე ენერგეტიკული ქსელი ურთიერთდამოკიდებულია, გაჩერდება მატარებლები, ლიფტები, ფაბრიკა-ქარხნები, ჩამოცვივა თანამგზავრები, თვითმფრინავები, შეწყდება წყლითა და თბომომარაგება, გაჩუმდება რადიო და ტელევიზია, გაწყდება კავშირი. ყველგან და ყველაფერს წყვდიადი მოიცავს.

თუმცა მეცნიერები ფიქრობენ, რომ მოსალოდნელი კატასტროფის შესახებ ჩვენ გაგვაფრთხილებს წლევანდელ 11 თებერვალს NAS-ას მიერ კოსმოსში გაშვებული უნიკალური აპარატი Solar Dynamics Observatory (SDO), რომელიც 5 წლის განმავლობაში დააკვირდება მზეზე მომხდარ ცვლილებებს და წუთში 60 გამოსახულებას გამოაგზავნის დედამიწაზე.

— დავაკვირდებით დედამიწისთვის პოტენციურად საშიშ ყველა მოვლენას, — გვპირდება NAS-ას პროექტის მთავარი მეცნიერი სპეციალისტი **ბარბარა ტომპსონი**.

მიღებული მონაცემებით და ვიდეოსურათების გაანალიზებით მეცნიერები ვარაუდობენ, გაერკვნენ, თუ რა ხდება მზის ზედაპირსა და მის ატმოსფეროში, როგორია მაგნიტური ველების კონფიგურაცია, როგორაა განაწილებული პლაზმის ნაკადები, მზის შიგნით რომელი პროცესები შეესაბამება ანომალიებს, გარედან რომ ჩანს.

ყოველივე ეს კი დიდ სამსახურს გაგვიწევს ბევრი რამის თავიდან აცილებაში.

ასტროფიზიკოსების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ჩვენმა მანათობელ-მაცოცხლებელმა ბოლოს და ბოლოს გაიღვიძა და დაიწყო მისი მორიგი 11-წლიანი ციკლი, რასაც შესაძლოა, მოჰყვეს რაღაც არნახული ქარიშხალი; რაც მისი აქტიურობა მაქსიმუმზე შეიძლება მოხდეს, მას კი სწორედ 2012 წელს ელიან.

როგორც ჩანს, NAS-აში სერიოზულად ეშინიათ თავიანთსავე პროგნოზებზე, მაგრამ იმედი აქვთ კოსმოსში გაშვებული აპარატისა — SDO, უფრო სწორად, ამ ორბიტალური ლაბორატორიიდან მიღებული გაფრთხილებისა.

ღმერთმა იმედი ნუ მოგვიშალოს!

*უცხოეთის პრესის მასალების მიხედვით მოამზადა*
**ვალიკო სიმონიშვილმა**





**მთელი ჩვენი პლანეტის მოსახლეობა შეაშფოთა ცნობამ, რომ 2012 წლის 21 დეკემბერს სამყაროს დასასრული დადგებაო**

◉ ინფორმაცია

## მასტერ-კლასს გერმანელი მუსიკოსი ჩაატარებს

**დღეიდან 2 მარტამდე ცნობილი გერმანელი მუსიკოსი, პროფესორი ვოლფგანგ გააგი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრის მუსიკოსებისთვის (ლითონის ჩასაბერი საკრავების ჯგუფი) მასტერ-კლასებს ჩაატარებს.**



ვოლფგანგ გააგს საინტერესო შემოქმედებითი ბიოგრაფია აქვს: მან ბერლინის უნივერსიტეტისა და ბერლინის მუსიკის აკადემიაში მიიღო ფუნდამენტური განათლება (როგორც ხმის რეჟისორმა და ვალტორნისტმა), რისი საშუალებაც მას მიეცა რიჰარდ ვაგნერის საზოგადოების გრანტის მეოხებით.

1969 წლიდან ვოლფგანგ გააგი პირველი ვალტორნისტის სტატუსით თანამშრომლობს გერმანიის წამყვან სიმფონიურ ორკესტრებთან, მათ შორის, ბამბერგის, შტუტგარტის სიმფონიურ, ბაიროითის საფესტივალო, მიუნხენის ფილარმონიულ ორკესტრებთან. მას სოლისტად ხშირად იწვევენ ცნობილი დირიჟორები.

80-იანი წლებიდან აქტიურად მოღვაწეობს პედაგოგიურ ასპარეზზეც შტუტგარტის, მიუნხენის მუსიკალურ აკადემიებში, ინტენსიურად მართავს მასტერ-კლასებს გერმანიასა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მუსიკოსს ხშირად იწვევენ სხვადასხვა პრესტიჟული კონკურსებისა და ფესტივალების ჟიურის წევრად.

მისი შესრულებით გამოცემულია მრავალი ჩანაწერი.

1984 წელს ენრიკე კრესპოსთან ერთად ვოლფგანგ გააგმა დააფუძნა გერმანელ ლითონის ჩასაბერ საკრავებზე შემსრულებელ მუსიკოსთა ასოციაცია.



მეუღლე ირინა, შვილები ლაშა, თეონა, გაგა, შვილიშვილები რატი, მანანა, ირინა, ზუკა გომართელები, გეგი გვაზავა, სიძე დავით გვაზავა, რძლები ეთერ ბერიძე, ნატა ბელოგუროვა, ბიძაშვილი შუქურა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზაურ გომართელი

პანაშვიდი 23, 24 II, 17 სთ. ფალიაშვილის ქ. №44, გამოსვენება 25 II, 14 სთ. საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების ეკლესიიდან.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, უიშვიათესი პიროვნული თვისებებით დაჯილდოებული კოლეგა და მეგობარი

ზაურ გომართელი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

ანზორ ბაბუხადია, ვალერი კანკია, ალექსანდრე მოვსესიანი, თენგიზ ოქროპირიძე, ვაჟა სულაბერიძე, მელორ ტყეშელაშვილი, მერაბ ქაჯაია, შოთა შარაშენიძე, ვახტანგ ჩოგოვაძე, ავთანდილ წილოსანი ულრმესი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული პიროვნება, სანიმუშო კაცი, თელავის ქალაქვაჭრობის ყოფილი დირექტორი

შოთა გაუარაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახსა და ახლობლებს.
დაკრძალვა 25 II, ქ. თელავში.

---

მეუღლე მზია, შვილები ზაზა და ლაშა უჯმაჯურიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნუკრი უჯმაჯურიძე

პანაშვიდი 23, 24 II, 16 სთ. ბორჯომის ქ. №15, გამოსვენება 25 II, 15 სთ. ჩუღურეთის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიიდან.

---

შვილები ფარნა, დათო ზაქარაიები, ძმა ირაკლი, დისწულები მაია, ზურაბ ყიასაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეთერ დავითის ასული ციციშვილი

პანაშვიდი 21, 22 II, 16 სთ. გამოსვენება 23 II, 14 სთ. მისამართი: იაკობ ნიკოლაძის ქ. №5ა, V სადარბაზო, V სართული.

---



მეუღლე მერაბი, შვილები მერაბი, გივი ჩინჩალაძეები, მშობლები ჟორა, ელიკო გუგუტიშვილები, ოჯახის ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლაური გიორგის (ჟორაძ ასული
გუგუტიშვილი

პანაშვიდი 23 II მისამართზე: მუხიანი, II მიკრორაიონი, VIII კორპ. VI სადარბაზო, ბინა 119; 24 II, მუხიანის მეფე მირიან და ნანა დედოფლის სახელობის ეკლესიაში. გამოსვენება 25 II, ამავე ეკლესიიდან, 14 სთ.

◉ SIC!

## ვინ არემონტებს ახალი ათონის მონასტერს?

**აფხაზური მხარის ინფორმაციით, უკვე წელიწადნახევარზე მეტია, რაც ახალი ათონის მონასტრის სახურავის სარემონტო სამუშაოებს ჩელიაბინსკის შპს „მორიონი" აწარმოებს. მათივე ინფორმაციით, ამ ფირმის სპეციალისტებმა მონასტრის 16 სახურავი უკვე ააწყვეს და ამჟამად ისინი პანტელეიმონის ტაძრის ძველი სახურავის აღდგენითი სამუშაოებით არიან დაკავებულნი.**

— ეს ძალიან რთული და საფრთხილო სამუშაოა. ძალიან ბევრია კუთხეები, გადასვლები, რომელთა დამზადებაც ხშირად ხელით გვიწევს. მუშები 22-26 მეტრის სიმაღლეზე მუშაობდნენ. საერთო ჯამში კი ჩვენ დაახლოებით ორი ათასამდე კვადრატული მეტრი გვაქვს შესაცვლელი, — აცხადებს ჩელიაბინსკური ფირმის წარმომადგენელი გარუფ ისხუჯინი.

ამის პარალელურად, სოჭის ფირმა „ოტდელსტროიმ" ტაძრის კედლების სარემონტო სამუშაოები დაიწყო. აფხაზური მხარის ინფორმაციით, რესტავრაციის შემდეგ ტაძარი თეთრი ფერის იქნება.

**ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში"*
**99-62-77; 899 32-85-76.**

## დაიჯესტი

### კლოუნი პრაისი



დიდი ფრანგი მხატვრის ოგიუსტ რენუარის ტილოზე „კლოუნი" (1868 წ.ძ, მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი „სამუსიკო კლოუნი", ინგლისის ცნობილი საცირკო დინასტიის სახელოვანი წარმომადგენელი ჯონ პრაისია აღბეჭდილი. ჯონ და უილიამ პრაისები ერთ დროს საფრანგეთის ცნობილი ცირკის ლუაიალის ვარსკვლავები იყვნენ. სწორედ მათ მიაწერენ ახლა ყველასათვის კარგად ცნობილ საცირკო ნომერს, როცა ორი კლოუნი თან ვიოლინოზე უკრავს და ამავდროულად აკრობატულ ილეთებს ასრულებს.

### თავდაყირა სახლი

**არსებობს მეცნიერებისა და არქიტექტორების მიერ დამუშავებული სეისმოგამძლე შენობების კონსტრუქციები, თუმცა იაპონელი არქიტექტორის სენუმა ამანესის აზრით, ყველა მათგანს მნიშვნელოვანი ნაკლი აქვს: მათი აგება ძალიან ძვირი ჯდება. სწორედ ამ მიზეზის გამო, იმისთვის, რათა კაფეს ორსართულიანი შენობა მიწისძვრისგან დაეცვა, ამანესიმ დაცვის ორიგინალური ხერხის გამოყენება გადაწყვიტა — მან სახლი... თავდაყირა დააყენა.**



— რა ძალისაც უნდა იყოს მიწისძვრა ბიძგები, ისინი ვერასდროს დაანგრევენ ჩემ კონსტრუქციას, — აცხადებს იგი. — ისინი კონსტრუქციას კი ვერ ჩამოანგრევენ, არამედ მხოლოდ გაარხევენ მას, ვინაიდან მისი სიმძიმის ცენტრი ბეტონის ფილებით სავსე სხვენშია.

ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, გაუძლებს თუ არა სენუმა ამანესის სახლი მიწისძვრით გამოცდას, სამაგიეროდ ერთი რამ ცხადია: იგი ქალაქ ჰაიაძიმას ტურისტულ ღირსშესანიშნაობად გადაიქცა.

### გოლიათების შეტევა



**სპილოებს ყველა ცხოველი ერიდება, მაგრამ როცა ჯოგში პატარებიც არიან, მათ უმჯობესია სათოფეზეც არავინ გაეკაროს.** საქვეყნოდ ცნობილი „ნეშნლ ჯეოგრაფიკის" ჟურნალისტის მიერ გადაღებულ ამ ფოტოზე გაბრაზებული ჯოგი ლომების პრაიდს უტევს, რომელმაც პატარა სპილოს მონადირება გადაწყვიტა.

### თითქმის ო' ჰენრის სცენარით...

**ერთ მშვენიერ შუადღეს ამერიკის ქალაქ ჰალვესტონის ბანკში უცხო მამაკაცი შეიჭრა, რომელმაც იარაღის მუქარით ასი ათასი დოლარი გაიტაცა.** ახლა წარმოიდგინეთ პოლიციელთა გაკვირვება, როცა მათ ზოროტმოქმედს... ბანკის მოპირდაპირე მხარეს ტროტუარზე მშვიდად მჯდომს მიაგნეს! თავდაპირველად მათ მამაკაცი შეურაცხადი ეგონათ, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ 75 წლის მძარცველი უმუშევარი და უსახლკაროა, რომელმაც ბანკი მხოლოდ იმის იმედით გაძარცვა, რომ სასამართლო მას... სამუდამო პატიმრობას მიუსჯიდა.



## დღის კალენდარი

### 23 თებერვალი

ღირსისა იოანე ჭიმჭიმელისა, ფილოსოფოსისა (XIIIძ; მღვდელმოწამისა ხარლამპი სასწაულთმოქმედისა და მისთანა მოწამეთა; პორფირისა, ბაპტოსისა და სამთა დედათა (202ძ ქალწულმოწამეთა: ენათასი, ვალენტინასი და პავლასი (308ძ; ღირსისა ზენონ მალემსრბოლისა, კესარია-კაპადოკიელისა (Vძ; ანასტასი იერუსალიმელი პატრიარქისა (VIIIძ.



ამოდის 06.50
ჩადის 17.39



ამოდის 08.43
ჩადის 23.12

### დაიბადნენ:

**1685 — გეორგ ჰენდელი,** გერმანელი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1759 წელს.

**1868 — უილიამ დიუბუა,** ამერიკელი ისტორიკოსი, მწერალი. გარდაიცვალა 1963 წელს.

**1873 — დიმიტრი არაყიშვილი,** კომპოზიტორი, ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1959 წელს.

**1924 — ალან კორმაკი,** ამერიკელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**1928 — გურამ გველესიანი,** ქართველი ქიმიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი.

**1940 — პიტერ ფონდა,** ამერიკელი კინომსახიობი.

### გარდაიცვალნენ:

**1848 — ჯონ ადამსი,** აშშ-ს მე-6 პრეზიდენტი.

**1945 — ალექსეი ტოლსტოი,** ცნობილი რუსი მწერალი.

### მოვლენები:

**1887** — მიწისძვრა, რომელმაც მოიცვა საფრანგეთისა და იტალიის რივერა, შეიწირა 2000 ადამიანის სიცოცხლე. ბიძგები იგრძნობოდა ჩრდილოეთით — შვეიცარიაშიც. ამ მიწისძვრის ტალღამ, რომელიც 800 კმ/ს სიჩქარით ვრცელდებოდა, აშშ-ს ნაპირებამდეც მიაღწია.

**1918** — შეიქმნა ამიერკავკასიის სეიმი — სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო ამიერკავკასიაში.

**1984** — ბრუნეიმ გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ბელორუსი** — სამშობლოსა და შეიარაღებული ძალების დამცველთა დღე.

**ჩეჩნეთ-ინგუშეთი** — სახალხო გლოვის დღე.

**ბრუნეი** — დამოუკიდებლობის დღე.

**გაიანა** — რესპუბლიკის დღე.

მედიანიუსი

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7077 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3267 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6777 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.6508 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.4791 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1259 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1340 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1274 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4993 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +0 – +7 |
| ქუთაისი. | +5 – +17 |
| ბათუმი. | +11 – +17 |
| ზუგდიდი. | +2 – +15 |
| თელავი. | +1 – +7 |

## ინფორმაცია

### პენსიები თბილისში პირველი მარტიდან 10 ლარით იმატებს

**პირველი მარტიდან თბილისში მცხოვრები ყველა კატეგორიის პენსიონერი 10 ლარით გაზრდილ პენსიას მიიღებს. შესაბამისი გადაწყვეტილება თბილისის საკრებულომ გუშინდელ სხდომაზე მიიღო.**

**თბილისის ბიუჯეტიდან ამისათვის დამატებით 3 800 000 ლარი გამოიყოფა.**

**პენსია გაეზრდებათ თბილისში მცხოვრებ ყველა კატეგორიის პენსიონერს, მათ შორის ინვალიდებს, ომის ვეტერანებსა და სოციალურად დაუცველ ხანდაზმულებს.**

**აღსანიშნავია, რომ მთლიანად საპენსიო თანხებით უზრუნველყოფისთვის თბილისის ბიუჯეტში 20 200 000 ლარია გათვალისწინებული.**

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში"
გ. ახვლედიანის ქ. №19.
99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

— მამი, რას ნიშნავს ბუნებაში წყლის მიმოქცევა? — ეკითხება პატარა მიხო.

— როგორ აგიხსნა უფრო გასაგებად. აი, ვთქვათ, მე გარეთ გავედი და მოვშარდე. მერე ყველაფერი აორთქლდა და ღრუბლებს შეუერთდა... ახლა თავი დამანებე, წადი, გაისეირნე.

— არა, აწი წვიმაში გარეთ არ გავალ.

* * *

მიხომ ქალს ქურქი აჩუქა.

— გმადლობთ, ძვირფასო, მაგრამ ეს ხომ ბოცვრისაა, მასში შემცივდება!

— არა უშავს, ბოცვერი მთელი ცხოვრება ამით დადიოდა, მაგრამ არ გაყინულა.



— ბიჭებო! ახლავე მითხარით, ჰომოსექსუალიზმი — ეს ნორმალურია?

— პრინციპში... ნორმალურია...

— ალო, დედი, კი, კი, ჩემთან ყველაფერი ნორმალურადაა.

* * *

— გამარჯობა, როგორა ხარ, რა სიახლეებია შენთან?

— ორი ახალი ამბავი მაქვს, ერთი — კარგი, მეორე — ცუდი.

— ცუდით დაიწყე.

— დილით ცოლმა მიმატოვა...

— თუ სხვასთან წავიდა, ჯერ კიდევ არავინ იცის, ვის უფრო გაუმართლა!

— კარგი ახალი ამბავი კი ის არის, რომ იგი შენთან წამოვიდა...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.